კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაგისტრანტი: ალექსანდრე გრძელიძე

სამაგისტრო ნაშრომი:

საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე (საქართველოს მაგალითზე)

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკონომიკის

დოქტორი: ემირ ეთერია

თბილისი 2020

ანოტაცია

საერთაშორისო ვაჭრობა არის, საქონლისა და მომსახურეობის მიმოცვლა ქვეყნებს შორის. საერთასორისო ვაჭრობაში ჩართულნი არიან ქვეყნები, კომნპანიები, ადამიანები, ყველა ის სუბიექტი, რომლებიც ეწევიან რაიმე საქმიანობას სახელმწიფოს საზღვებს გარეთ, ფინანსური მოგების მიზნით. დღეისათვის ბევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი ნაწილი სწორედ საერთასორისო ვაჭრობაზე მოდის. მართალია საერთასორისო ვაჭრობა ახალი არარის კაცობრიობისთვის, ის ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე არსებობდა ცნობილი აბრეშუმის გზის სახით, რომლის საშუალებითაც ჩინეთიდან ევროპამდე ხდებოდა საქონლის მიმოცვლა, მაგრამ საერთასორისო ვაჭრობამ დიდი მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ გასული საკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო და დღეისათვის მასში ჩართულია სახელმწიფოთა უმრავლესობა. საერთასორისო ვაჭრობა არც ისე მარტივი პროცესია, მას ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორები ახლავს თან, ესენი გამომდინარეობს ქვეყნებს შორის განხსვავებებიდან, ყველა ქვეყანა ერთნაირად არაა მოწყობილი, არის სხვადაასხვა პოლიტიკური სისტემები, სხვადასხვა ეკონომიკური მოდელები, სხვადასხვა კულტურა, ვალუტა, ვალუტის კურს შორის განსხვავება და კიდევ მრვალი ფაქტორი, ამიტომ შეიქმნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციები რათა ხელი შეუწყოს და გაამარტივოს ვაჭრობა ქვეყნებს შორის.

ნაშრომში საუბარია თუ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკურ განვითარებაზე,განხილულია საქართველოს მაგალით. როგორი იყო საქართველოსეკონომიკური ზრდის ტემპები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რა ფაქტორები უშლიდა (ომები, პოლიტიკური არასტაბილურობა, რუსული ოკუპაციის საფრთხე) და უწყობდა (ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ბიზნესის კეთების გამარტივება, კორუფციის აღმოფხვრა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები სხვადასხვა ქვეყნებთან) ხელს საერთაშორისო ვაჭრობას საქართველოში, როგორი იყო და არის საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და როგორ იცვლებოდა ის სხვადასხვხა ხელისუფლების დროს.

Anotation

The impact of international trade on economic development Following the xample of Georgia

Aleksandre Grdzelidze

The international trade is the exchange of capital, good and services between countries. Countries,companies and all entities engaged in any activities outside the borders of the state for the purpose of financial gain are involved in international trade. Today, much of the country's gross domestic product comes from international trade.Although international trade is not new to mankind, it still existed before the birth of Christ inthe form of the famous Silk Road. Through which goods were exchanged to Europe from China, but international trade obtained the great importance only in the second half of the lastcentury, and most of the countries are involved in it afterward. International trade is not an easy process, it is accompanied by many impediments, which are due to differences between countries. Not all countries are alike, there are different political systems, different economic models, different cultures, currencies, exchange rate differences, and many other factors. That is why world trade organizations have been set up to facilitate trade between countries. In thispaper, I will discuss the impact of international trade on economic development and discuss the example of Georgia.

სარჩევი

შესავალი.....5

თავი 1. ვაჭრობისა და თეორიული ზრდის ეკონომიკური საფუძვლები.....7

1.1. ვაჭრობის პროტექციონისტულითეორიები.....7

1.2. ვაჭრობის ლიბერალური თეორიები.....20

თავი 2. ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთ–მიმართება.....34

2.1. ვაჭრობა, როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძველი.....34

2.2. თავისუფალი ვაჭრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.....39

თავი 3. საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა.....45

3.1. საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკის თავისებურებები.....45

3.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდის დინამიკა.....48

დასკვნა.....56გ

ამოყენებული ლიტერატურა.....58

შესავალი

თემის აქტუალურობა განპირობებულია მსოფლიოში და საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობით, თანამედროვე მსოფლიო ეტაპობრივად სპეციალიზდება საერთო ბაზარზე, გლობალიზაციის ტემპეპი დრო და დრო უფრო იზრდება, იზრდება ქვეყნებს შორის ვაჭრობის ტემპები, სახელმწიფოები უფრო მეტად ხდებიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, შეიძლება ითქვას რომ დღეს ვინც საერთაშორისო ვაჭრობაზე უარს იტყვის ჩამორჩება სხვებს, ყველა სახელმწიფომ თანამედროვეობას ფეხი უნდა აუწყოს თუ სურს უკეთესი მომავლის შექმნა. საერთაშორისო ვაჭრობას ბევრი კარგის მოტანა შეუძლია სახელმწიფოთათვის, ის ეხმარება ქვეყნებს განავითარონ თავიანთი ეკონომიკა, დასპეციალიზდნენ კონკრეტულ დარგებზე, რაშიც აქვთ შედარებითი უპირატესობა ვიდრე სხვებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საერთასორისო ვაჭრობას შესწევს იმის უნარი შეამციროს სახელმწიფოთა შორის ომები და დაამყაროს მსოფლიოში მშვიდობა, რადგან როდეაც სახელმწიფოები ხდებიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი მათ არ აწყობთ არასტაბილურობა პარტნიორ სახელმწიფოებსი. საერთაშორისო ვაჭრობა მომავალია, მომავალი წარმოუდგენელია საერთასორისო ვაჭრობის გარეშე. გლობალიზაცია წლიდან წლამდე აქტუალური ხდება, მსოფლიო წლიდან წლამდე უფრო უახლოვდება ერთმანეთს, შედეგად საერთასორისო ვაჭრობის ტემპებიც უსწრაფესად მატულობს. აუცილებელია ამ ფაქტის გააზრება და რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიჰყვნენ სახელმწიფოები დინებას, რომელიც წლების შემდეგ ერთიან მსოფლიო ბაზრამდე მიგვიყვანს.

ამაზე თუ რა სარგებელის მომტანია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა, დეტალურად ტექსტის ძირითად ნაწილშია განხილული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკა უფსკრულში გადაიჩეხა, ჩამოიშალა ყველაფერი რაც კი ეკონომიკას ამუშავებდა, ამ მძიმე კრიზისიდან თავის დაღწევას ჩვენი ქვეყანა დღემდე ცდილობს, ეტაპობრივად უმჯობესდება სიტუაცაია, ამიტომ აუცილებელია საქართველომ აქტიურად დაიწყოს საერთაშორისო ვაჭრობა. დღეს ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, არჩევანის წინაშე ნამდვილად არ ვდგავართ. უამრავი მაგალითი არსებობს, თუ როგორ მოახერხეს დღეს განვითარებულმა სახელმწიფოებმა წარმატებას

საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად ჩაბმით, რამოდენიმე მათგანზე საუბარია ტექსტის ძირითად ნაწილში. ჩვენ უნდა მივბაძოით მათ, უნდა დავიწყოთ აქტიურად ვაჭრობა, მოვიზიდოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაბამისი გარემოს შექმნით, საქართველო დღეს გამოწვევის წინაშე დგას, უნდა გავიაზროთ საეთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობა და აქტიურად უნდა ვეცადოთ გავხდეთ მსოფლიიო ბაზრის ნაწილი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ რა გავლენა შეუძლია იქონიოს საერთაშორისო ვაჭრობამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, და კონკრეტულად თუ რა გავლენას ახდენს ის საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა ვაჭრობის თორიების შესწავლა, ლიბერალური და პროტექციონისტული თეორიების შესწავლა და მათი შედარება, რათა გავიაზროთ, თუ რომელია უფრო ჭეშმარიტი, სწორი გზა ეკონომიკური განვითარებისკენ. კვლევის ამოცანა იყო საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის ტემპების შესწავლა, ასევე საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე საერთაშორისო ვაჭრობის გავლენის დადგენა.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია საერთაშორისო ვაჭრობა, ხოლო კვლევის ობიექტი საქართველოს ეკონომიკა და მისი საგარეო ვაჭრობის დინამიკა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლიგიური საფუძველი. ნაშრომის მომზადების დროს, გამოყენებულია ქართული და ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა, რომლებშიც განხილული იყო ვაჭრობის თეორიები, მათი უპირატესობანი, საერთაშორისო ვაჭრობის გავლენები ეკონომიკაზე, სტატისტიკური მონაცემები, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატების გზები და სხვადასხვა ნობელის პრემიის ლაურიატი ეკონომისტის თეორია საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით. გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდები, შედარებულია ვაჭრობის თეორიები, განხილულია სხვადასხვა ვაჭრობის პოლიტიკის მქონე სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ეტაპები. ნაშრომში გამოყენებულია აღწერილობითი სტატისტიკის მეთოდები.

თავი I

ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის თეორიული საფუძვლები

1.1 ვაჭრობის პროტექციონისტული თეორიები

პროტექციონიზმი არის სხვა ქვეყნებიდან იმპორტის შეზღუდვის ეკონომიკური პოლიტიკა, ის იმპორტირებულ საქონელს ზღუდავს ისეთი მეთოდებით, როგორიცაა იმპორტის კვოტები, ტარიფები და სხვადასხვა რეგულაციები. პროტექციონისტულ თეორიას მსოფლიოში მრავალი მომხრე ჰყავს, მათ შორის არის მრავალი ეკონომიკის თეორიტიკოსი. მათი მტკიცებით პროტექციონისტული პოლიტიკა ქვეყნის შიდა მწარმოებლებს უცხოური კონკურენციისგან იცავს, რომელთაგანაც მოედინება ადგილობრივი ბიზნესის შთანთქმის საფრთხე.

როგორც ზემოთაა აღვნიშნული პროტექციონისტული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო იყენებს სხვადასხვა მეთოდებს. პირველი და ყველაზე გავრცელებული დამცავი მექანიზმი საერთაშორისო კომპანიებისაგან არის ტარიფები. ტარიფი არის გადასახადი იმპორტირებულ საქონელზე, რომელიც შემომტანს უძვირებს საქონელს შედეგად ადგილობრივ პროდუქციას ეძლევა უპირატესობა ფასში. ამ მექანიზმის მთავარი იდეა რა თქმა უნდა, არის ადგოლობრივი მწარმოებლების დაცვა უცხოელი იმპორტიორებისაგან, თუმცა ტარიფი ასევე არის დამატებითი შემოსავალი ქვეყნის ბიუჯეტში. მეორე ყველაზე გავრცელებული დამცავი მექანიზმი გახლავთ კვოტები, კვოტების მეშვეობით იმპორტიორს ეზღუდება გარკვეული რაოდენობის შემდეგ საქონლის შემოტანა ბაზარზე. კიდევ ერთი დამცავი მექანიზმი არის უცხოელი ინვესტორების შეზღუდვა შეიძინონ ადგილობრივი ფირმები, მაგალითისთვის: საქართველოში ბოლო წლებში აქტუალური საკითხი მიწების გაყიდვაა უცხოელებზე. უცხოელებს საქართველოში შეეზღუდათ სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენა, რამაც გამოიწვია ამ მიმართულებით ინვესტიციების შეწყვეტა, თუმცა ამ შეზღუდვით იდეაში ხდება ქართველი ფერმერების დაცვა უცხოელი ფერმერებისგან. შემდეგი ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი პროტექციონიზმისა

არის გაცვლითი კურსის კონტროლი. მთავრობა ხელოვნურად აუფასურებს ადგილობრივ ვალუტას, შედეგად ძვირდება იმპორტირებული საქონელი. ადგილობრივ ქვეყანაში წარმოება ჯდება უფრო იაფი ვიდრე იმპორტიორ ქვეყნებში, ამ მეთოდს აქტიურად იყენებენ დღეს სხვადასახვა ქვეყნები, მაგალითად იაპონია, სამხრეთ კორეა და ჩინეთი. პროტექციონიზმის განხორციელების იდეად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ რეკლამები, რომლებიც მოგვიწოდებენ შევიძინოთ ადგილობრივი პროდუქცია, მსგავსი შემთხვევა ჩვენს ქვეყანაშიც გვქონია, მრავალი სატელევიზიო რეკლამა, ბილბორდები და სხვადასხვანი მოგვიწოდებდნენ „შეგვეძინა ქართული“, რითაც დავეხმარებოდით ადგილობრივ მწარმოებლებს, შევქმნიდით მეტ სამუშაო ადგილს და ა.შ.

დღეს სმოფლიოში მყარად დამკვიდრებული აზრია, რომ პირდაპირი საგარეო ინვესტიციები არის განვითარებადი ქვეყნების უმოკლესი და ყველაზე ეფექტიანი გზა განვითარებისკენ, თუმცაღა პროტექციონიზმის თეორიტიკოსები ამ აზრს მკაცრად ეწინააღმდეგებიან. ისინი გვეუბნებიან, რომ პირდაპირი საგარეო ინვესტიციები შთანთქავენ ადგილობრივ მწარმოებლებს და ეს რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის ეკონომიკის მდგრად და ჯანსაღ განვითარებას. მათი მოსაზრებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზე მოხდეს ადგილობრივი მწარმოებლების ან რაიმე კონკრეტული ახალი დარგის დაცვა უცხოელებისგან მინიმუმ მანამ, სანამ ადგილობრივი კომპანია მოძლიერდება და შეძლებს ჯანსაღი კონკურენციის გაწევას უცხოელი კონკურენტებისთვის. მაგალითისთვის საერთაშორისო ვაჭრობის ლიბელარული თეორიის მქადაგებელ ქვეყნებში, ნაგულისხმევია დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს, როდესაც რაიმე ბიზნესი, რომლის არსებობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის, დგება უცხოელი ინვესტორების ხელში ჩაგდების საფრთხის ქვეშ, ეს იწვევს შფოთვასა და დისკუსიებს ამ სახელმწიფოში. მოსახლეობა მოუწოდებს მთავრობას დაიცვან ადგილობრივი ბიზნესი უცხოელებისაგან, უფრო თუ დავკონკრეტდებით მაგალითად მოვიყვანოთ საბანკო სექტორის ისტორიაში ერთ-ერთ უმსხვილეს გასხვისებას. ევროპის ერთ-ერთმა დიდმა საბანკო კორპორაციამ, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ბანკებისგან მაგ: შოტლანდიის სამეფო ბანკი (დიდი ბრიტანეთი), fortis (ბელგია), Santander (ესპანეთი), შეისყიდა ნიდერლანდური ბანკი ABN AMRO. ნიდერლანდების სამეფოში ამ გასხვისებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, ერთ-ერთმა ნიდერლანდურმა სახელგანთქმულმა გამოცემამ, კერძოდ devolkskrant-მა გამოაქვეყნა უშველებელი სტატია სათაურით: „უზარმაზარი ბანკი, რომელმაც ორასი წელი დახარჯა საკუთარი წარმატების მისაღწევად, დღეს გაგლეჯილია, როგორც შველი მგლების მიერ“.

პროტექნიონიზმის იდეის დამცველები პირდაპირ საგარეო ინვესტიციებს მოიხსენიებენ როგორც „მავნე სიკეთე“. ერთ-ერთი კვლევის თანახმად რომელიც ჩატარდა აფრიკის კონტინენტზე და ეხებოდა პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენას ეკონომიკის განვითარებაზე გვიჩვენებს, რომ პირადპირი უცხოური ინვესტიციები მიედინება იმ ქვეყნებში, რომლებიც არიან მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და აქვთ სუსტი ინსტიტუტები. ამ კვლევის თანახმად პირდაპირი საგარეო ინვესტიციების წილი მთლიან ეკონომიკაში, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მცირდება, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ინვესტორების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი რესურსების მოპოვება, რომელიც ძალიან იაფი უჯდებოდათ, რესურსების ამოწურვის შემდეგ ინვესტორებისთვის ეს ქვეყნები ნაკლებად მიმზიდველი ხდებოდნენ და ტოვებდნენ მათ, შედეგად ვიღებდით გამოფიტულ სახელმწიფოებს, რაც საფუძველს გვაძლევს, რომ დავფიქრდეთ პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მავნებლობაზე.

დღევანდელი ეკონომიმიკის სახელმძღვანელოები გვასწავლიან, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდიან ეკონომიკურ კეთილდღეობას სახელმწიფოში. ამასვე მოგვიწოდებენ საერთაშორისი კომპანიები, როგორებიც არიან მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, მსოფლიო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი. ეს ორგანიზაციები საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივების მიზნითაა შექმნილი, ისინი სახელმწიფოებს ავალდებულებენ, რომ ხელი არ შეუშალონ საერთაშორისო ვაჭრობას და ჩაერთონ გლობალიზაციის პროცესში, საერთო ბაზრის შექმნის პროცესში. პროტექციონისტული თეორიის თანახმად ეს ყველაფერი დასავლეთის ქვეყნებიდან მოედინება, იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ეს მდიდარი სახელნწიფოებიკდევ უფრო გამდიდრდნენ რადგანაც მათ უკვე აქვთ ძლიერი ეკონომიკა, უძლიერესი კორპორაციები, ბრენდები, როგორებიცაა კოკა-კოლა, მაკდონალდსი, მერსედესი, ჯენერალ მოტორსი, ტესლა და მრავალი სხვა. მათი მიზანია მსოფლიო ბაზრის ათვისება, „მსოფლიოს დაპყრობა“. ერთ- ერთ დოკუმენტურ ფილმში სახელად „ცაითგაისთი“ (zeitgeist) საუბარია თანამედროვე მსოფლიოს იმპერიებზე. ისინი ამახვილებენ ყურადღებას, რომ დღეისათვის მსოფლიოს დაპყრობა ხდება სხვა ფორმით. ახლა მთავარი იარაღი არა ხმალი ან ტანკია, არამედ მთავარი იარაღი საერთშორისო ვაჭრობაა. საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივება, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ ააყვავონ სახელმწიფოები. ერთ-ერთი მოსაზრება თუ რატომ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასარგებლო განვითარებადი ქვეყნებისთვის, არის ის, რომ ხდება ტექნოლოგიების ინფორმაციის და ნოუჰაუს შეტანა ადგილობრივ სახელმწიფოში, თუმცაღა პროტექციონიზმის იდეის დამცველები ამას უარჰყოფენ. ისინი გვეუბნებიან, რომ რელურად

ნებაყოფლობით ფაქტიურად არასდროს ხდება ტექნოლოგიისა და ინფორმაციის გაზიარება კონკურენტ კომპანიებში, ანუ ამ შენთხვევაში ადგილობრივ მწარმოებლებს გულისხმობენ. მათი მოსაზრებით ქვეყანაში ნოუჰაუ თითქმის არასდროს შემოდის, ისინი ასევე ამახვილებენ ყურადღება იმაზე, რომ ბაზარზე შემოსული საერთაშორიოს მწარმოებლები არ იყენებენ ადგილობრივ ნედლეულს, საქონლის გამოშვების დროს, რადგან თუ ადგილობრივ ნედლეულს გამოიყენებ, მაშინ გიწევს ტექნოლოგიები გაუზიარო ადგილობრივებს, რაც მათ არ აწყობთ, ამიტომ ნედლეულიც შემოაქვთ თავიანთი ქვეყნებიდან, მაგალითისთის შეგვიძლია მოვიყვანოთ მაკდონალდსი, რომელსაც ხორცი შემოაქვს საქართველოში ამერიკიდან დ არ იყენებს ქართულ ხორცს. აქ საუბარია სუსტ განვითარებად ქვეყნებზე, რომელთაც არ გააჩნიათ ძლაუფლება რაიმე პირობები წაუყენონ საერთასრისო კომპანიებს, თუმცა ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეს ძირითადა ასე არ ხდება, მაგალითისთვის, როდესაც იაპონურმა ავტო მწარმოებელმა ნისანმა გახსნა საწარმო დიდი ბრიტანეთში, ბრიტანეთის მთავრობამ ის დაავალდებულა, რომ ნაწილების, ანუ ნედლეულის შეეძინა ადგილობრივ ბაზარზე. ეს დასაწყისში, ხოლო გარკვეული წლების შემდეგ ეს მაჩვენებელი უნდა გაეზარდა 80 პროცენტამდე. იგივე დაემართათ ამერიკულ ავტო მწარმოებლებს ფორდს და ჯენერალ მოტორსს. მსგავსი შემთხვევა რომ საქართველოში მოხდეს პირობითად ტოიოტამ გადაწყვიტოს ქუთაისში ავტომობილების წარმოება ჩვენ ვერ დავავალდებულებთ მას, რომ ნაწილები შეიძინოს საქართველოში, რადგან ჩვენ არ ვაწარმოებთ არაფერს.

თანამედრეოების ერთ-ერთი გამორჩეული ეკონომისტი კემპრიჯის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი, ჰაჯუნ ჩანგი თავის წიგნში „bad Samaritans” (bad Samaritans 2007) აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის მომხრე და მისი როგორც ეკონომიკური განვითარების უმოკლესი გზის, მქადაგებელი ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი თავის დროზე აქტიურად იყენებდნენ პროტექციონიზმს საკუთარი წარმოებისა და ეკონომიკის დასაცავად, გასნაკუთრებით კი ისეთ დარგებს როგორებიცაა საავტომობილო ინდუსტრია და საბანკო სფერო. ამ ქვეყნების კონკრეტულ მაგალითებს დაწვრილებითი მოგვიანებითაა განხილული, მანამდე კი აუცილებლად აღსანისნავია ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთ წარმატებულ ფინურ კომპანიას ნოკია. როგორც გვახსოვს ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში ნოკია გახლდათ თავის დარგში საუკეთესო, ის კონკურენციას უწევდა ისეთ ძლიერ კომპნიებს, როგორებიცაა სამსუნგი, სონი და სხვა იაპონურ და ევროპულ ბრენდებს, ნოკია არამარტო კონკურენციას უწევდა, არამედ

ლიდერი იყო თავის სფეროში. საინტერესოა როგორ მოახერხა ეს პატარა აღმოსავლეთ ევროპულმა ქვეყანამ. პასუხი, რა თქმა უნდა, არის პროტექციონიზმი. ფინეთის მთავრობა წლების განმავლობაში აქტიურად იცავდა ნოკიას , რათა კონკურენტებს მისი შთანთქმა არ მოეხდინათ, შედეგად ის გახდა ლიდერი, თუმცაღა ბოლო ათწლეულში ნოკიამ დაკარგა მოწინავე პოზიციები, ამის მიზეზი სხვა მრავალი ფაქტორია. ეს არის მხოლოდ ერთი მაგალითი, სხვა მრავალი მაგალითი არსებობს თუ როგორ იცავენ მთავრობები საკუთარ მწარმოებლებს და უქმნიან სასათბურე პირობებს, რათა უკეთ განვითარდნენ. სანიაი ლალი და რაჯეშ ნარულა, რომლებიც პიონერები არიან პირდაპირი საგარეო ინვესტიციების კვლევის საკითხში ამბობენ შემდეგს: „ბევრი მკვლევარი და მეცნიერი ერთიანდება თავის სკეპტიციზმში ვაშინგტონის კონსესუსის მიმართ და მეინსტრომული ეკონომისტების პრიმიტიულ შეხედულებაში, რომ პირდაპირი საგარეო ინვესტიციები არის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი პირობა, საბაზრო ძალებს არ ძალუძთ სახელმწიფოს როლის ჩანაცვლება პროაქტიული ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარებაში და ხელის შეწყობაში“. ემპირიული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ტარგეტირებული ეკონომიკა უკეთესია განვიათრებისაკენ მიმავალ გზაზე ვიდრე ეკონომიკის ლიბელარიზაცია. როგორც ფინეთის და ნოკიას მაგალითი მოვიყვანეთ, თუ ქვეყანაში გადაწყდება რაიმეს წარმოება ის აუცილებლად უნდა იქნეს დაცული პროტექციონიზმით, მინიმუმ მანამ, სანამ არ გახდება კონკურენტუნარიანი, მაგრამ საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები მოუწედებენ განვითარებად ქვეყნებს, რომ მაქსიმალურად მოახდინონ ვაჭრობის ლიბელარიზაცია საერთაშორისო დონეზე და ყეველანაირი ხელის შემშლელი ფაქტორები გამორიცხონ ინვესტორებისათვის.

საინტერესოა შვედი ეკონომიკიკის მეცნიერის შეხედულებები ეკონონიკის თეორიებისადმი. ეს შვედი ეკონომისტი გახლავთ გუნარ მურდალი. ის მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა კიარ ანვითარებს განვითარებად ქვეყნებს და ათანასწორებს განვითარებულებთან, არამედ ის მოქმედებს პირიქით, კიდევ უფრო აღრმავებს უთანასწორობას ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის. ასევე გუნარ მურდალი ეწინააღმდეგება გამოჩენილი ეკონომისტის ადამ სმიტის თეორიას, რომელიც გვეუბნება, რომ „უხილავი ხელი“ აწესრიგებს ეკონომიკაში ყველაფერს. მისი მტკიცებით ეკონომიკაში ჩაურევლობა მხოლოდ და მხოლოდ მის დაქვეითებამდე მიგვიყვანს. ეკონომიკის განვითარების სათავეში არა უხილავი ხელი, არამედ სახელმწიფოს მიერ სწორად ორგანიზებული და გააზრებული სტრატეგია უნდა იდგას, რომელიც დაგეგმავს ტექნოლოგიური და სოციალური ეკონომიკური გარდაქმნების თანმიმდევრობას. გუნარ მურდალი, რომელიც გახლავთ ნობელის პრემიის ლაურიატი

ეკონომიკაში, გლობალიზაციის შესახებ გვეუბნება შემდეგს: „გლობალიზაციის პირობებში ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში ბევრად უფრო მეტი კვალიფიციური კადრი და კაპიტალი გაედინება, ვიდრე პირიქით“. მურდალის აზრით ინდუსტრიული გარდაქმნისათვის და ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა პოლიტიკური სტაბილურობა, სტაბილურობა მთელს ქვეყანაში. ეკონომიკა ვერ ეგუება პოლიტიკური ბუნების არითმიას, არასტაბილურობა შეიძლება იყოს მრავალი სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული ისტორიული, სოციალური, რელიგიური, ნაციონალური და სხვა ფაქტორები, რომლებიც არ უკავშირდებიან ეკონომიკას პირდაპირ, თუმცა ეკონომიკას სჭირდება ამ ყველა ფაქტორის სტაბილურობა. დასავლელი ეკონომისტები, აქ იგულისხმება ეკონომისტები, რომლებიც ქადაგებენ საერთაშორისო თავისუფალ ვაჭრობას, ისინი არ ითვალისწინებენ და საკმაოდ ცინიკურად უყურებენ ამ ფაქტორებს, შედეგად „უხილავი ხელი“ თავისით ვერავითარ ვშემთხვევაში ვერ შეძლებს ეკონომიკის განვითარებას ასეთ არასტაბილურ სახელმწიფოებში, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა, რადგან განვითარება მიიღწევა მხოლოდ კონკრეტული მიზნების დასახვის პირობებში.

მურდალი თვლის რომ ღირებულებების ფაქტორი თამაშობს ეკონომიკაში მთავარ როლს. მიუკერძოებელი ეკონომიკური თეორია, ყოველთვის შეიცავს ღირებულ მინიშნებებსა და რჩევებს. მურდალი უპირისპირდება ოპონენტებს და ამბობს, რომ ეკონომიკურ პრობლემებზე პასუხების გაცემა არ ატარებს ინდივიდუალური ანალიზის ხასიათს, არამედ იდეოლოგიურად არის განპირობებული. ნებისმიერი პასუხი, ან რეკომენდაცია პოლიტიკოსებისათვის არის მიკორძოებული და მათთვის გამოუსადეგარი. პოლიტიკური მიზნები და ღირებულებები არის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. შვედი ეკონომისტის მოსაზრებით დასავლური საბაზრო ეკონომიკური მოდელები ვერ ერგებიან და ვერ მუშაობენ აღმოსავლურ პირობებში, მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ დასავლური და აღმოსავლური კულტურული მახასიათებლები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს გამოხატულია ადამიანთა ცხოვრების წესში, მათ მოთხოვნილებებში, რაც გვაძლევს დიდ განსხვავებას. გუნარი მიიჩნევს, რომ თავისუფალი ბაზარი იწვევს სახელმწიფოების ბუნებრივი რესურსების გამოფიტვას, მუშაკების გადინებას, ტვინების გადინებას და ეს ყველა რესურსი მიემართება დასავლურ სახელმწიფოებში, შედეგად ვიღებთ, რომ დასავლური სახელმწიფოები კიდევ და კიდევ უფრო მდიდრდებიან ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით, ამიტომაც დასავლური ექპანსიონიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო იარაღი გახლავს პროტექციონიზმი.

გუნარ მურდალის ერთ-ერთი სახელგანთქმული წიგნია „აზიური დრამა“, რომელშიც ის საუბრობს სამხრეთ აზიის ქყვეყნების (ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი, ვიეტნამი, კამბოჯა, ფილიპინები, მიანმარი, ლაოსი) ეკონომიკურ კოლაფსზე, დიდ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ დაგეგმარებას, ის განასხვავებს განვითარების ორ მოდელს ნებაყოფლობითს და გამიზნულს, ანუ დისკრეციულს და არა დისკრეციულს, ის ამბობს რომ "ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის პრაქტიკა" სრულად განსხვავდება იმ პოლიტიკსგან, რომელიც ყალიბდება საბაზრო მექანიზმების შედეგად. ადამიანების ეკონომიკური ქცევა განპირობებულია ინდივიდუალური სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით და არა სახელმწიფოს ეკონომიკური ადმინისტრირებით, ხოლო ფასების მექანიზმი ქმნის გარკვეულ ბერკეტებსა და სტიმულებს, რომელიც სწორია ეკონომიკური განვითარების პერსპექტივიდან.

დღეისათვის მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად მიიჩნევა, რომ დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და სხვა განვითარებული დასავლეთ ევროპული თუ აღმოასავლეთ აზიური ქვენების წარმატება განაპირობა თავისუფალმა ვაჭრობამ და ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, თუმცა ისტორიას თუ გადავხედავთ დავინახავთ, რომ ეს მთლად ასე არ იყო, როგორც ზემოთაა აღნიშნული დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ინდუსტრიალიზაციის დასაწყისში, აქტიურად იყენებდნენ პროტექციონისტულ იდეებს წარმოების დასაცავად და გასაძლიერებლად. კემპრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაჯუნ ჩანგის წიგნში "ekonomics the users guide" ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მოხსენიებულნი არიან პროტექციონიზმის პიონერებად. კონკრეტულად ჰენრიხ მეექვსე, რომელიც იყო ტიუდორთა დინასტიის წარმომადგენელი და მეფობდა 1485-1509 წლებში უზრუნველყოფდა და ანვითარებდა ტექსტილის მეწარმეობას ინგლისში, ის და მისი შთამომავალნი პროტექციონიზმით იცავდნენ ადგილობრივ წარმოებას ნიდერლანდური ტექსტილისაგან. პროტექციონიზმი გამოხატული იყო გადასახადებით იმპორტზე, ისინი ახდენდნენ მეწარმეთა სუფსიდირებას, შედეგად მე-18 საუკუნეში ინგლისი მოწინავე იმპერია გახლდათ ტექსტილის წარმოებით. მე-18 საუკუნეში კიდევ უფრო გამძაფრდა პროტექციონიზმი დიდ ბრიტანეთში და ამ დროისათვსი ის უკვე მსოფლიოს პირველი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო გახლდათ. სწორედ მეთვრამეტე საუკუნეში დაწერა ადამ სმიტმა თავისი ნაშრომი უხილავ ხელსა და ეკონომიკის ლიბელარიზაციაზე. პროტექციონისტული თეორიის მომხრეები ფიქრობენ, რომ იმ დროისთვის დიდი ბრიტანეთის სამეწაერმეო დარგში იმდენად იყო განვითარებული და იმდენად ძლიერ

უსწრებდა სხვა ქვეყნებს, ადამ სმიტი ვეღარ ხედავდა პროტექციონიზმის საჭიროებას, ის აღარ მიიჩნევდა რომ მეწარმეობას ესაჭიროებდა სახელმწიფოს დაცვა. სწორედ ამ ფაქტორმა შთააგონა ის, რომ საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკის ახალი თეორიისთვის, თუმცა ადამ სმიტის ბრწყინვალე ნაშრომის მიუხედავად, ბრიტანეთი მაინც არ გადავიდა ეკონომიკის ახალ მოდელზე და გააგრძელა ძველი კურსი. მხოლოდ და მხოლოდ 90 წლის შემდეგ, 1860 წელს გადაერთო ის თავისუფალ ვაჭრობაზე, მაშინ როდესაც მისი დომინაცია აშკარად უდაო იყო. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე თვალსაჩინოებისთვის ნაჩვენებია თუ რამხელა იყო მაშინდელი დიდი ბრიტანეთის სავაჭრო უპირატესობა და შედარებულია დღევანდელი ერთ-ერთ მოწინავე ეკონომიკის ქვეყანასთან ჩინეთთან. დიაგრამებზე წარმოდგენილია სამეწარმეო საქონლით ვაჭრობის პროცენტული მაჩვენებლები.

1870 წელს დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა შეადგენდა მსოფლიო მოსახლეობის 2.5 პროცენტს



წყარო: მსოფლიო ბანკი

2020 წლის მონაცემებით ჩინეთის მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 18 პროცენტს



წყარო: დიაგრამა შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებზე დაყრდნობით

ახლა განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. მანამ სანამ ამერიკა დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და დიდი ბრიტანეთის კლანჭებისგან გათავისუფლდებოდა, ამერიკელებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ წარმოება და როდესაც ეს ბრიტანელებმა გაიგეს იგრძნეს საფრთხე, რადგან თუ ამერიკას ექნებოდა საკუთარი წარმოება, ექნებოდა საკუთარი ეკონომიკა, რაც აღარ გახდიდა საჭიროებას ყოფილიყვნენ ბრიტანეთზე დამოკიდებულნი და ისინი შეეცდებოდნენ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამიტომ ბრიტანეთის ხელისუფლენბამ გადაწყვიტა ყველანაირად ხელი შეეშალა მის კოლონიაში ადგილობრივი წარმოებების შექმნისთვის, თუმცა 1776 წლის 4 ივლისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამერიკის ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა ალექსანდრ ჰამილტონი, ჰამილტონს სურდა, რომ მისი ქვეყანა გაეთანაბრებინა საფრანგეთთან და დიდი ბრიტანეთთან, მან იცოდა, რომ ძლიერი ეკონომიკის შესაქმნელად საჭირო იყო

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეწარმეობის დაწყება და მისი განვითარება. მან 1791 წელს კონგრესისთვის მიმართულ ანგარიშში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ თუ სურდათ გათანაბრებოდნენ იმ დროისათვის ისეთ მოწინავე ქვეყნებს, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, საჭირო იყო ეროვნული წარმოების დაცვა იქამდე, სანამ ის არ გაუთანაბრდებოდა ზემოთ აღნიშნულ მოწინავე ქვეყნებს. წარმოების დაცვისთვის უნდა გამოეყენებინათ პროტექციონიზმის სხვადასხვა მოდელები, კერძოდ მან შესთავაზა კონგრესს, რომ შეემუშავებინათ სუბსიდირების პროგრამები, დაეწესებინათ საბაჟო გადასახადები, მოეწესრიგებინათ ინფრასტრუქტურა, საჭირო იყო არხების გაყვანა, რათა განვითარებულიყო სოფლის მეურნეობა და შეემუშავებინათ კარგი სამართლებული სისტემა, რაც ხელს შეუწყობდა საბანკო სისტემის განვითარებას და არა მარტო მას. თუმცა ჰამილტონის იდეებს ამერიკაში ყველა მხარს არ უჭერდა, ბევრს არ ესმოდა, განსაკუთრებით სამხრეთში მცხოვრებ ამერიკელებს, თუ რატომ უნდა შეესყიდათ ჩრდილოეთ აშშ-ში წარმოებული პროდუქცია და არა უფრო ხარისხიანი პროდუქცია ევროპიდან, რომელიც უფრო იაფიც ღირდა. ეს აზრთა სხვადასხვაობა ჰამილტონის გეგმების განხორციელებას აფერხებდა, თუმცა სიტუაცია შეცვალა 1812–1816 წლებში მიმდინარე ბრიტანულ-ამერიკულმა ომებმა, სავარაუდოთ მოსახლეობამ ბრიტანეთი აღიქვა მტრად და მათ აღარ სურდათ მტრის პროდუქციის შეძენა. სამწუხაროდ ჰამილტონი თავისი იდეების განხორციელებას ვერ მოესწრო, ის მოკლეს 1804 წელს დუელში. თუმცა ამერიკელებმა ჰამილტონს ღვაწლი დაუფასეს და ის დღეს გამოსახულია 10 დოლარიან კუპიურაზე. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უთანხმოება პროტექციონიზმის შესახებ ბრიტანულ-ამერიკულ ომს ბოლომდე არ გადაუწყვეტია. ეს უთანხმოება გაგრძელდა სამოქალაქო ომამდე (1861-1865 წლებში) ამ ომის მთავარი მიზეზი მონობის გაუქმება გახლდათ, თუმცა ამასთანავე ერთ-ერთი მიზეზი იყო პროტექციონიზმიც. ჩრდილოეთის გამარჯვების ერთ-ერთ გნმაპირობებელ მიზეზად სწორედ პროტექციონიზმი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მათ პროტექციონიზმის მეშვეობით ქონდათ განვითარებული ინდუსტრია, ჰქონდათ ფაბრიკები, გადამამუშავებელი ქარხნები, ნახშირისა და ფოლადის საბადოები და სახომალდე დოკები. მარგარეტ მიჩელის რომანში „ქარწაღებულნი“ სწორედ ამაზეა გამახვილებული ყურადღება, სადაც რედ ბატლერი ეუბნება სამხრეთელებს, რომ ის დარწმუნებულია ჩრდილოეთის გამარჯვებაში, რადგანაც ჩრდილოელებს აქვთ ის ყველაფერი, რაც ზემოთაა ნახსენები და სამხრეთელებს ეს არ გააჩნიათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაღალი საბაჟო გადასახადები მეორე მსოფლიო ომამდე შეინარჩუნა და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის იდეალიზმის ქადაგება, როდესაც უკვე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ეკონომიკა გააჩნდათ, რადგანაც ეკონომიკურად მათი კონკურენტი სახელმწიფოები, რომლებიც ევროპაში იყვნენ

თავმოყრილნი მიწასთან იყვნენ გასწორებული მეორე მსოფლიო ომის შედეგად და უკვე ხელსაყრელი პირობები იყო აშშ–ს განეცხადებინა, რომ გახსენით საზღვრები, შემოუშვით უცხოური კომპანიები თქვენს სახელმწიფოებში და აქედან დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მსოფლიოს დაპყრობა.

პროტექციონიზმის კიდევ ერთი კარგი მაგალითია საბჭოთა კავშირი. მეთხუთმეტე საუკუნიდან დაიწყო ევროპის ორ სექტორად გაყოფა, დასავლეთი უფრო ვითარდებოდა ვიდრე აღმოსავლეთი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დასავლეთის მომსახურე პოზიციებს იკავებდნენ, რაც დრო გადიოდა მათ შორის უფსკრული კიდევ უფრო ღრმავდებოდა. 1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ რუსეთმა განვითარება სხვა მიმართულებით განაგრძო, მათ შექმნეს უდიდესი სახელმწიფო საბჭოთა კავშირი, რომელიც იმართებოდა კომუნიზმის იდეით, კომუნიზმის იდეა კი თავისთავად პროტექციონიზმს ანიჭებდა უპირატესობას. 1960-იანი წლებიდან უკვე საგრძნობია განსხვავება საბჭოთა კავშირსა და "მესამე მსოფლიოს'' ქვეყნებს შორის. ამ განსხვავებამ და

1989 წელი	საბჭოთა კავშირი	აშშ
მშპ (ნომინალური) "$"	2.6 ტრილიონი	5.2 ტრილიონი
მოსახლეობა	290.9 მილიონი	250.4 მილიონი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე "$"	9211	21000

წყარო: ცხრილი შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებზე დაყრდნობით



წყარო: დიაგრამა შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამაზე ნაჩვენებია, თუ რა ტემპებით იმატებდა საბჭოთა კავშირის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, 1950–1990 წლებში.

ერთ-ერთი პრესტიჟული კვლევითი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევიდან მცირე ამონარიდი: „დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, დასავლეთის ლიდერები შიშობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკურმა ზრდამ შეიძლბა გააჩინოს რადიკალალურუ ნაციონალიზმის აღზევება სხვა ქვეყნებში ისინიც შეიძლება დაავადდნენ იმ ინფექციით, რომელსაც რუსეთის 1917 წლის სოციალისტური რევოლუცია ერქვა, როდესაც მან არ ისურვა ქცეულიყო დასავლეთ სამრეწველო ეკონომიკის დანამატად“.

დღევანდელ მსოფლიოს კიდევ ერთი წამყვანი ეკომომიკური სახელმწიფო გახლავთ იაპონია. გამოჩენილმა იაპონელმა ეკონომისტებმა წრმოადგინეს ნაშრომი, იმის შესახებ, თუ რა გზებით განავითარა იაპონიამ საკუთარი ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის დარულების შემდეგ. ამ ნაშრომში წარმოდგენილია, თუ როგორ უარჰყვეს იაპონელებმა ამერიკელების მიერ შეთავაზებული ნეოლიბერალური დოქტრინები და მის მაგიერ აირჩიე

ინდუსტიული პოლიტიკის გზა, რომელიც მაკონტროლებელ ფუნქციას ანიჭებდა სახელმწიფოს. საბაზრო მექანიზმები ინერგებოდა სახელმწიფო ბიუროკრატიის კარნახით. ამავე ექსპერტების მტკიცებით ეკონომიკური წარმატება დიდ წილად განაპირობა ორთოდოქსალური რჩევების უგულებელყოფამ. ამ ყველაფერმა იაპონია, რომელსაც არ გააჩნია არანაირი ბუნებრივი რესურსი და ამ მხრივ მიიჩნევა მსოფლიოს ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანად, შექმნა ერთ-ერთი უდიდესი და მსოფლიოში მოწინავე მწარმოებელი ეკონომიკა.

თითქმის იგივე გზა განვლო სამხრეთ კორეამაც. სამხრეთ კორეამ უარი განაცხადა გაწევრიანებულიყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციებში, რომლებიც იუწყებიან, რომ მათი მთავარი მიზანი არის სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. მას არ სურდა უცხოურ კომპანიებს ხელში ჩაეგდო ეროვნული ქონება და არ სურდა კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, რომელიც მათი აზრით გამოიწვევდა კაპიტალის გადინებას. სწორედ ეს არის იაპონელი მკვლევარების აზრით მიზეზი იმისა, თუ რატომ განვითარდნენ ეკონომიკურად სამხრეთ კორეა და იაპონია.

1.2. ვაჭრობის ლიბელარული თეორიები

ლიბერალიზმი ლათინური სიტყვაა და თავისუფლებას ნიშნავს. მისი გამოყენება დაიწყო 1912 წლიდან. მას შემდეგ, როდესაც ესპანეთში შეიქმნა ლიბერალური პარტია და ისინი დაუპირისპირდნენ კონსერვატიულ და სხვა პარტიებს.

ლიბერალური ეკონომიკის თეორია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის და თავისუფალი ბაზრის მომხრეა. ის არის თავისუფალი ბაზრის, თავისუფალი ადამიანების და შეზღუდული მთავრობების იდეოლოგია. ლიბერალიზმის იდეაა ადამიანებს შეუქმნას ნორმალური, ბუნებრივი და მშვიადობიანი განვითარების პირობები.

ვაჭრიბის ლიბერალურ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ადამ სმიტმა. მას მოყვა დევიდ რიკარდო და შემდეგ მრავალმა ეკონომიკის თეორიტიკოსმა აღიარა მისი იდეალიზმი და დაიწყო ლიბერალური ეკონომიკის თეორიის ქადაგება. მის წარმატებაზე მრავალი ნაშრომია შექმნილი. ნაშრომში განხილულია თითოეული ლიბერალული ეკონომიკის თეორიტიკოსის მოდელებს დაწვრილებით.

წლების მანძილზე ლიბერალიზმი განიცდიდა ტრანსფირმაციას და მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. ესენი იყო ნეოკლაცისიზმი, კლასიკური თეორია, მონეტარიზმი, კეინსიანიზმი და სხვა. თუმცა ეკონომიკური

ლიბერალიზმის ყველა ფორმა აღიარებდა ფასის წარმოქმნის მექანიზმსა და თავისუფალ ბაზარს, როგორც ეკონოკის ორგანიზების ყველაზე ეფექტურ გზას. ლიბერალიზმი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც დოქტრინა და პრინციპების ერთობლიობა საბაზრო ეკონომიკის მართვისა და ორგანიზებისთვის, რაც მიიჩნევა საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ გზად ეკონომიკური ზრდისა და ბაზრის ყველა მონაწილის პირადი კეთილდღეობისთვის.

ლიბერალური იდეის მიხედვით ადამიანები ბუნებით არიან ეკონომიკური ცხოველები და ამიტომ ბაზარიც ვითარდება ბუნებრივად, ლოგიკურად ცენტრალური დირექტივების გარეშე. ის წარმოიქმნება სპონტანურად, არ საჭიროებს სახელმჭიფოს მხრიდან არანაირ ჩარევას და ფუნქციონირებს თავისი შიდა ლოგიკის მიხედვით. ადამ სმიტი გვეუბნებოდა, რომ საზოგადოების ეროვნული და კერძო დოვლათის წარმოქმნის საუკეთესო წყარო გახლავთ თითოეული ადამიანის მუდმივი და განუწყვეტელი რუტინული ძალისხმევა, რათა გააუმჯობესოს საკუთარი პირობები და როდესაც ის ცდილობს იზრუნოს საკუთარ თავზე, შეიქმნას უკეთესი ეკონომიკუირ პირობები, ის ამ გზით ზრუნავს არამარტო საკუთარ თავზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე, რადგან ჩართულია საერთო ეკონომიკურ საბაზრო სისტემაში.

უფრო დაწვრილებით, თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა. ყველა ფირმა, პიროვნება და ოჯახი არის საზოგადოების სფუძველი. ისინი ცდილობენ დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვლინებები ყველაზე დაბალ ფასად, რადგან იქცევიან გონივრულად და რიაციონალურად. თითოეული მწარმოებელი და მომხმარებელი ძალიან მგრძნობიარეა ფასის მიმართ, სწორედ ეს უწყობს ხელ მოქმედი ეკონონიკის წარმოქმნასა და არსებობას. ნამდვილი კონკურენტული ბაზარი მოქმედებს მიწოდება მოთხოვნით და მას არ ჭირდება რაიმე მესამე ძალის ჩარევა და დირექტივები, იგულისმევა სახელმწიფო, რადგანაც კონკურენტული ბაზარი ასტაბილურებს ფასს, თუ შენ გაზრდი ფასს პროდუქტზე საქონელი აღარ გაგეყიდებ, რადგანაც მომხმარებელი შეიძენს იქ, სადაც უფრო დაბალი ფასია,

შემთხვევაში მომხმარებელთა და მწარმოებელთათვის. თუ საქონელზე მოხდება მიწოდების ან მოთხოვნის ცვლილება საქონლის ფასი აუცულებლად დაიწყებს ცვლილებას.

ლიბერალური ეკონომიკის თეორიტიკოსებს სწამთ, რომ საერთაშორისო თავისუფალ ბაზარს შესწევს ძალაუფლება დაამყაროს მსოფლიოში მშვიდობა, რადგან ეკონომიკურ ურთიერთქმედებას სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების საფუძველია. ორ ქვეყანას შორის ერთმანეთთან ვაჭრობით მიიღება ორმხრივი სარგებელი და ისინი ხდებიან ერთმანეთზე

ურთიერთდამოკიდებულნი, შესაბამისად ერთს არ აწყობს მეორეში რაიმე არეულობა, არასტაბილურობა, ომი ან რაიმე მსგავსი რაც ჩამოშლის მის ეკონომიკას. სწორედ ამიტომ კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა და თავისუფალი ვაჭრობა უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკას და არა პირიქით, პოლიტიკა ეკონომიკას.

ლებერალებს სჯერათ კაცობრიობის თანამშრომლობის, ეს იდეოლოგია თავისი არსით კოსმოპოლიტური იდეოლოგიაა ხოლო ლიბერალი მოქალაქე მოიაზრება მსოფლიო მოქალაქედ, ანუ კოსმოპოლიტად. ლიბერალიზმი ეწინააღმდეგება ყველანაირ კომფლიქტს, ომს, რადგან კონფლიქტი და ომი სახელმწიფოებს იძულებულს ხდიან ჩაიკეტნონ, ჩაკეტონ საზღვრები. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში კი ჩაკეტილი ქვეყნების ეკონომიკები სუსტდება და იკლებს მათი მოქალაქეთა კეთილდღეობა. ლიბერალების აზრით, მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი გახლავს კერძო საკუთრება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთლიან მსოფლიოში და სწორედ ამიტომ ყველა სახელმწიფოს ვალია დაიცვას და გაუფრთხილდეს კერძო საკუთრებას.

როგორც უკვე გავიგეთ ვაჭრობის ლიბერალური თეორიის ფუძემდებელი გალხდათ ადამ სმიტი, სწორედ მან გააჟღერა პირველად ვაჭრობაში ლიბერალური იდეოლოგიის უპირატესობანი. მისი მოსაზრებით ბაზარი წესრიგს თავისით ამყარებს, მან ამ ძალას ბაზრის უხილავი ხელი უწოდა. ადამიანების საქმიანობების ძირითადი მოტივია ინდივიდუალური ლტოლვის დაკმაყოფილება და კეთილდღეობის ამაღლება, ხოლო როდესაც ის ამ ამოცანებს ასრულებს, ის ასევე აუმჯობესებს საზოგადოებრივ კეთილდღეობასაც.

საზოგადოების სიმდიდრის წყაროდ ადამ სმითი ორ მთავარ ფაქ-ტორს: მოხმარების მოცულობებს და პროდუქციის წარმოებას მიიჩნევს. ასევე განსაკუთრებულ ღირებულებებს ატარებს ავტორის მიგნება შრომის განაწილების შესახებ. შრომის განაწილებას თვლიდა ადამ სმითი ეკონომიკურიპროგრესის ძირითად ფაქტორად. ადამ სმითმა ნათლად წარმოაჩინა ქინძისთავის მანუფაქტურის მაგალითით, თუ რამდენად იზრდება შრომის მოცულობა სპეციალიზაციის შედეგად. შრომისგა-ნაწილების ცალკეული შეხედულებები ჯერ კიდევ ადამ სმითის წინა- მორბედების მიერაა შესწავლილი, თუმცა მან აღნიშნულ თემას განსა- კუთრებული მნიშვნელობა შესძინა და დაადასტურა, რომ სიმდიდრის წყაროს სწორედ შრომა წარმოადგენს.

ადამ სმითს უნდა მივაწეროთ შრომის ღირებულებების თეორიაც, რომლის მიხედვითაც, საქონლის ღირებულება განისაღვრება იმ შრომის მიხედვით რაც მის დასამზადებლადაა დახარჯული.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სმითის მოსაზრება იმის შესახებ, , რომ ქვეყნის სიმდიდრისა და განვითარების მთავარ პირობას შეადგენს „Laissez-faire“-ისპრინციპი, რაც გულისხმობს სამეურნეო საქმიანობების საქმიანობას. რაც უფრო მცირეა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, მით უკეთესი პირობები იქმნება მისი განვითარებისათვის. სახელმწიფო მხოლოდ მას შემდეგ უნდა ჩაერიოს და გაამლიეროს რეგულაციები, როცა საზოგადოებრივ კეთილდღობას საფრთხე დაემუქრება.

გამოჩენილი შოტლანდიელი თეორითეორიტიკოსი გვეუბნება, სახელმწიფოები უნდა სპციალიზირდნენ იმ პროდუქტის წარმოებაში, რომელშიც გააჩნიათ უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, ის სახელმწიფოები მოიპოვებენ აბსოლიტურ უპირატესობას რაიმე კონკრეტული პროდუქტის წარმოებაში, რომლებიც მის დამზადებას შეძლებენ უფრო იაფად, ნაკკლები დანახარჯებით. თავის მთავარ წიგნში, „ერების სიმდიდრე“ ადამ სმიტი საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობაზე საუბრობს, მას მოჰყავს ყურძნის მაგალითი: შოტლანდიაში შესაძლებელია ყურძნის მოყვანა და ღვინის დამზადება, მაგრამ არც ისე მარტივად როგორც ესპანეთში, რადგან შოტკლანდიაში არის შედარებით მკაცრი კლიმატი და ყურძენს ურჩევნია ესპანეთის ნათელ მიწებზე გაიზარდოს, თანაც მათ არ აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქურა, ამიტომ ესპანეთიდან ღვინის შემოტანა და მისი შეძენა უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე შოტლანდიაში მისი დამზადება. ეს გახლავთ თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობა, სამაგიეროდ შოტლანდიას შეუძლია ისეთი საქონელი აწარმოოს რისი წარმოებაც ესპანეთში დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ქვეყანა	ტანსაცმელი	ღვინო
შოტლანდია	80	100
ესპანეთი	120	90

ცხრილში წარმოდგენილი ის დრო (საათებში) რაც ჭირდებათ 1 ერთეული საქონლის დასამზადებლად მოცემულ ქვეყნებს.

თუ ეს ქვეყნები დასპეციალიზდებიან იმ საქონლის წარმოებაში, რომელშიც აქვთ აბსოლუტური უპირატესობას, ანუ შოტლანდია თუ თავის დროსა და ენერგიას დაუთმობს ტანსაცმლის წარმოებას და ესპანეთი ღვინის წარმოებას, საერთო ჯამში მივიღებთ უფრო მეტ და ხარისხიან ტანსაცმელს და უფრო მეტ და ხარისხიან ღვინოს.

ქვეყანა	ტანსაცმელი	ღვინო
შოტლანდია	80+100	0
ესპანეთი	0	90+120

აქ კი მონაცემები სპეციალიზაციის შემდეგ

ადამ სმითის შემდეგ, ვინც დაიწყო საუბარი საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორიის უპირატესობაზე, იყო დევიდ რიკარდო. პორტუგალიური წარმოშობის ინგლისელი საერთაშორისო ვაჭრობის თეორიტიკოსი.

შედარებითი უპირატესობის რიკარდიის თეორია გახდა ნეოკლასიკური ვაჭრობის თეორიის ძირითადი შემადგენელი კომპონენტი. რიკარდოს მოდელი ფოკუსირებულია შედარებითი უპირატესობაზე, რომელიც წარმოიქმნება ტექნოლოგიასა თუ ბუნებრივ რესურსებში განსხვავებულობის გამო. რიკარდოს მოდელი უშუალოდ არ ითვალისწინებს ფაქტორულ ინვესტიციებს, მაგალითად, შრომისა და კაპიტალის შედარებით თანხებს ქვეყნის შიგნით.

დევიდ რიკარდოს საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი წარმოდგენილი შემდეგი ორი მოსაზრების საფუძველზე

- შრომის უპირველესი მიღწევაა წარმოება
- შრომის შედარებითი კოეფიციენტები, რაც ერთ კონკრეტულ საქმეს ჭირდება, განსხვავდება ქვეყნებს შორის

განვიხილავ შეფარდებითი უპირატესობის თეორიას დევიდ რიკარდოს მაგალითის მიხევით. მან სიმარტივისათვის დაუშვა, რომ ეკონომიკა შედგება მხოლოდ ორი, ა და ბ ქვეყნისგან და იწარმოება მხოლოდ ორი საქონელი — სიმინდი და ავტომობილები. ა ქვეყნის მიერ გაწეული დანახარჯები საკმარისია ან ხუთი ათასი ტონა სიმინდის, ან ორასი ავტომობილის საწარმოებლად, ხოლო ბ ქვეყნის მიერ დახარჯული რესურსები საკმარისია ან ხუთი ათასი ტონა ხორბლის, ან 100 ავტომობილის საწარმოებლად. აქედან გამომდინარე, ერთი და იმავე რესურსების დახარჯვისას, 5 ათასი ტონა სიმინდის წარმოების შემთხვევაში ბ ქვეყნის ალტერნატიული დანახარჯი გამოხატული ავტომობილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ა ქვეყნისა. შეიძლება ითქვას, რომ ბ ქვეყანას სიმინდის წარმოებაში გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა.

ქვეყანა	სიმინდი	ავტომობილები
ქვეყანა ა	5 ათასი	200
ქვეყანა ბ	5 ათასი	100

სწორედ ესაა შეფარდებითი უპირატესობის და საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობა, თუ ქვეყნები იქნებიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობაში, მათი ალტერნატიული დანახარჯები იქნება გაცილებით ნაკლები, ვიდრე

ჩაკეტელი საზღვრების შემთხვევაში, რადგან ისინი დაიწყებენ მხოლოდ იმ საქონლის ან მომსახურეობის წარმოებას რაც ყველაზე უკეთ გამოსდით, და მათ გაიტანენ ექსპორტზე. ეს კი უზრუნველყოფს მსოფლიო წარმოების ზრდას. რიკარდოს მოსაზრებით, უბრალოდ არ ღირს ყველაფერს მოეპოტინო და ყველაფრის წარმოება სცადო.

1900-იანიწლების დასაწყისში საერთაშორისო ვაჭრობის თეორია შეიმუშავა ორმა შვედმა ეკონომისტმა, ესენი იყვნენ ელი ჰექშერი და ბერტილ ოლინი. ესთეორია შემდგომში გახდა ცნობილი როგორც Heckscher-Ohlinმოდელი (H – O მოდელი). H – O მოდელის შედეგები იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ნიმუში განისაზღვრება ფაქტორთა ინვესტიციის განსხვავებით. იგი გვეუბნება, რომ ქვეყნებმაე ქსპორტზე უნდა გაიტანონ ის საქონელი, რომლების დასამზადებლადაც გამოიყენება ადგილობრივი უხვიფაქტორები, და უნდა შემოიტანონ ის საქონელი, რომლების დასამზადებლადაც ადგილობრივ სახელმწიფოში არის მწირი საწარმოო ფაქტორები.

H – O მოდელიაკეთებსშემდეგძირითადვარაუდებს:

- შრომისა და კაპიტალის ნაკადი თავისუფლად მოძრაობს სექტორებს შორის, რაც ტოვებს ფაქტორების ფასებს ქვეყნის შიგნით სექტორებში.
- შრომისა და კაპიტალის ოდენობა ორ ქვეყანაში განსხვავებულია
- გრძელვადიან პერსპექტივაში ტექნოლოგია ერთიდაიგივეა ყველა ქვეყანაში
- გემოვნება ერთიდაიგივეა ყველა ქვეყანაში

წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომადაკაპიტალი) შედარებითი უპირატესობა განსაზღვრავს ქვეყნის შედარებით უპირატესობას. ქვეყნებს აქვთ შედარებითი უპირატესობები იმსაქონელში, რომელთა წარმოებისთვისაც აქვთ შედარებით უხვი საწარმოო ფაქტორები. ესიმიტომ ხდება, რომ საქონლის მომგებიანობა განისაზღვრება დამზადების ხარჯებით. საქონელი, რომლის დასამზადებლადაც უხვადაა ადგილობრივი წარმოების ფაქტორები, უფრო იაფია ვიდრე ის საქონელი რომლის დასამზადებლადაც, მწირია ადგილობრივი წარმოების ფაქტორები.

მაგალითად, ქვეყანას, სადაც კაპიტალი და მიწა არის უხვი, მაგრამ შრომა მწირია, შედარებითი უპირატესობა აქვს იმ საქონელს, რომელსაც უამრავი კაპიტალი და მიწა სჭირდება, მაგრამ მცირეა ის საქონელი, რომელის დამზადებასაც სჭირდება ბევრი შრომა. ამ მაგალითისთვის გამოვიყენოთ სიმინდი. სიმინდი ამ კონკრეტულ ქვეყანაში არის ბევრი და თანაც არის იაფი, რადგან მისი წარმოება ჯდება იაფი ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო (სიმინდის წარმოებას ჭირდება მიწა და კაპიტალი). სიმინდის ფასი დაბალია ადგილობრივ ბაზარზეც და უცხოურ ბაზარზეც, თუ ეს ქვეყანა გაიტანს ექსპორტზე სიმინდს, მას ექნება სხვა ქვეყნებთან შედარებითი უპირატესობა, რადგან მისი სიმინდი იქნება სხვისაზე იაფი. მაგრამ ამ ქვეყანაში ისეთი საქონლის წარმოებაა ძვირი როიმელსაც ჭირდება ბევრი შრომა, აქ კი შრომა მწირია, ამიტომ უმჯობესია ამ კონკრეტულმა ქვეყანამ იმპორტით შემოიტანოს ისეთი საქონელი რომლის დამზადებასაც ჭირდება ბევრი შრომა, იმ ქვეყნიდან, რომელში წარმოების ეს ფაქტორი არის უხვად, შესაბამისად იქ დამზადებული საქონელი იქნება იაფი. ამით სარგებელს ისევ და ისევ ნახავს ადგილობრივი მომხმარებელი რაც საერთო ეკონომიკურ კეთილდღობას შეუწყობს ხელს.

გასული საუკუნის 50–იან წლებში, ორმა ცნობილმა ეკონომისტმა, ამერიკელმა პოლ სამუელსონმა და ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა ვოლფანგ ფრიდირიხ სტოლპერმა, რომლებიც გახლდათ ნობელის პრემიის ლაურიატები, განავითარეს ჰექშერ–ოლინის თეორია. ისინი საუბრობენ საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობაზე, მათი აზრით საერთაშორისო ვაჭრობა არა მხოლოდ ურთიერთხელსაყრელი გაცვლაა, რომელსაც შეუძლია სარგებელი მოუტანოს ყველა მოვაჭრე მხარეს, არამედ ის ამცირებს ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკურ განვითარების დონეს, რადგან თუ 2 ქვეყანაში არის ერთნაირი წარმოების ფაქტორები, ტექნიკა იდენტურია, კონკურენცია

სრულყოფილია და საქონლის მობილურობას ხელს არაფერი არ უშლის, ამ დროს საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში თანაბრდება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების დანახარჯები. ავტორების მიერ შემუშავებულ ამ მოდელში გამოყენებულია შემდეგი დაშვებები: ქვეყანაში წარმოების ორი ფაქტორის დახმარებით იწარმოება ორი სახის საქონელი. ორივე ფაქტორისა და ორივე საქონლის სრულყოფილი კონკურენციაა, წარმოების ფაქტორების მიწოდება მუდმივია, ერთი საქონლის წარმოებაში ჭარბობს მიწის გამოყენება, ხოლო მეორე საქონელი შედარებით შრომატევადია. წამოების ფაქტორებს გააჩნიათ შიდა მობილურობა, საქონლის ფასი კი წარმოების ხარჯების ტოლია. სავაჭრო ურთიერთობათა დამყარება იწვევს საექსპორტო პროდუქციაზე ფასების შედარებით ზრდას.

პოლ სამუელსონის თეორიის თანახმად თავისუფალმა ვაჭრობამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოების ფაქტორების სრული ან შეფარდებითი გამოთანაბრება. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნები ივაჭრებენ ერთმანეთთან მოხდება მათი ეკონომიკების გათანაბრება.

თანამედროვე მრავალფაქტორულ სისტემაში ექსპორტ-იმპორტზე სახელმწიფოს ზემოქმედებისას სამუელსონის თეორია იძლევა მსოფლიოში ეკონომიკური წონასწორობის ანალიზის შესაძლებლობას.

დევიდ რიკარდოს და ჰექშერ-ოლინის თეორიამ საკმაოდ გასაგებად ახსნა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურა და წარმოაჩინა მისი უპირატესობა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მან დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგანაც კონკურენტული უპირატესობების საერთაშორისო პირობები შეიცვალა. დარგების კონკურენტუნარიანობის დამოკიდებულება, ქვეყანაში წარმოების ძირითადი ფაქტორების არსებობაზე მოიხსნა. საჭიროება შეიქმნა შექმნილიყო რაღაც ახალი საერთაშორისო ვაჭრობის თეორია, რომელიც უფრო მოერგებოდა თნამედროვეობას. ეს ახალი თეორია შეიმუშავა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ამერიკელმა პროფესორმა მაიკლ პორტერმა, რომელიც პორტერის კონკურენციის თეორიითაა ცნობილი. პორტერმა კვლევა ჩაატარა მსოფლიოში ათი მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნის კომპანიების მაგალითზე. მისი თეორიის თანახმად კონკურენტუნარიანობის დონეს ქვეყნებს შორის განსაზღვრავენ გარკვეული დეტერმინატები. მაიკლ პორტერმა მას „ეროვნული რომბი“ უწოდა. მისი მოსაზრებით ისინი ახდენენ გარემოს ფორმირებას, სადაც ვითარდება დარგებისა და ფირმების კონკურენტული უპირატესობა „ეროვნული რომბი“ მოიცავს ოთხ კომპონენტს



1. ხარისხისა და წარმოების მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორები, ანუ ის კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც საჭიროა მოცემულ დარგში წარმატებული კონკურენციისათვის.

2. დარგის პროდუქციაზე შიდა მოთხოვნის პირობები, თვისებრივი და რაოდენობრივი პარამეტრები. ეს არის მოთხოვნის პირობები, ანუ როგორია მოთხოვნა შიდა ბაზარზე მოცემული დარგის მიერ მიწოდებულ პროდუქციაზე ან მომსახურებაზე.

3. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მონათესავე და მხარდამჭერი დარგების არსებობა. საუბარია ქვეყანაში მონათესავე და მხარდამჭერი, ისეთი დარგების არსებობაზე, რომლებიც კონკურენტუნარიანი არიან საერთაშორისო ბაზარზე.

4. ფირმები, სტრატეგია და სტრუქტურა შიდა ბაზარზე კონკურენციის ხასიათი, ანუ როგორია კონკურენციის ხასიათი შიდა ბაზარზე და როგორია ქვეყანაში პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმის ოპტიმალური მართვის პროცესს.

პორტერს თავის თეორიაში შემოაქვს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ცნება. მისი აზრით, ეროვნული კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს წარმატებას ან წარუმატებლობას წარმოების რაიმე კონკრეტულ დარგში, და ასევე კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო მეურნეობის სისტემაში.

ქვეყნის ეროვნული კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მრეწველობის მუდვივად განვითარებისა და ინოვაციების წარმოების უნარით. სანამ ქვეყანა გახდება კონკურენტუნარიანი შიდა დონეზე ეს პროცესი მიმდინარეობს კომპანიებს შორის. თავდაპირველად კომპანიები ცდილობენ გახდნენ კონკურენტუნარიანები, მოიპოვონ რაიმე კონკურენტული უპირატესობა, რაც მათ სხვებზე მაღლა დააყენებს, ისინი ამისთვის ცდილობენ, რომ სრულყონ წარმოების პროცესი, ცდილობენ დანერგონ ინოვაციები, იყენებენ თანამედროვე კრეატიულ მიღწევებს, შედეგად ეს იძლევა წარმოების ხერხების და სხვა ფაქტორების მუდმივად სრულყოფის საშუალებას, ისე სწრფაფად, რომ კონკურენტებმა ვერ შეძლონ მათი დაწევა და მითუმეტეს გასწრება. კონკურენცია არ არის რაიმე ერთი წონასწორული მდგომარეობა. ეს არის მუდმივად ცვალებადი და წინ მიმავალი უწყვეტი პროცესი, რომელიც მუდმივად სრულჰყოფს დ ანახლებს რაიმე დარგს. კონკურენციის პროცესი ყველა ქვვეყანაში ერთიანად არ მიმდინარეობს, რადგან სახელმწიფოები განსხვავდებიან კულტურით, ინფრასტრუქტურით, ისტორიით, ეროვნული ფასეულობებით, პოლიტიკით და სხვა და ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ეროვნული კომპანიების კონკურენტუნარიანობაზე. ამიტომაც ზემოთ ნახსენები ოთხი კომპონენტის გარდა კიდევ არსებობს დამატებითი ორი ცვლადი, რომლებიც მნიშვნელოვნად ახდენენ გავლენას ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ესენია:

- შემთხვევითი მოვლენები, ანუ ისეთი მოვლენები რომელთა დაკონკრეტება კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია.
- სახელმწიფო პოლიტიკა.

განვიხილოთ თუ რა გავლენა აქვს სახელმწიფო პოლიტიკას ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფორმირებაში. მაიკლ პორტერის აზრით, სახელმწიფოს თავისი პოლიტიკის მეშვეობით ეროვნული რომბის ოთხივე კომპონენტზე

შეუძლია გავლენის მოხდენა. ეს გავლენა, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი, ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მკაფიოდ ჰქონდეს ფორმულირებული პრიორიტეტები. ამ კუთხით პორტერი რეკომენდაციებს იძლევა. მისი რეკომენდაციებია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის განვითარება იყოს სტიმულირებული, უნდა ეცადოს კონკურენციის გაძლიერებას შიდა ბაზარზე და ხელი უნდა შეუწყოს ინოვაციებს.

პორტერი გვთავაზობს კონკურენტუნარიანობის ამაღლების და შენარჩუნების სამთავრობო ღონისძიებათა კომპლექსს.

1. მთავრობის ზემოქმედება მოთხოვნის პირობებზე.
    - სახელმწიფო შესყიდვები.
    - ნაწარმის და საწარმოო პროცესების რეგლამენტაცია.
    - ადრეული მოთხოვნის სტიმულირება (აქ იგულისხმევა ლიზინგური მექანიზმების და დაკრედიტების ხვა ფორმების გამოყენება, რათა პროდუქცია უფრო ხელმისაწვდომი გახდეს და ადრეულ სტადიაშივე დაიწყოს მოსახლეობაში მასსზე მოთხოვნა).
    - მყიდველებისათვის სრული და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება.~
    - ტექნიკური სტანდარტების შემოღება.
    - უცხოური დახმარება და პოლიტიკური კავშირების გამოყენება.

2. მთავრობამ უნდა მოახდინოს ზემოქმედება მონათესავე და მხარდამჭერ დარგებზე.
    - მთავრობის პოლიტიკა მასმედიის მიმართ.
    - კლასტერების წარმოქმნა და მხარდაჭერა.
    - რეგიონული პოლიტიკა (ამ პოლიტიკის გატარება საჭიროა, რათა მოხდეს ჩამორჩენილი რეგიონების მხარდაჭერა).

3. მთავრობამ უნდა მოახდინოს ზემოქმედება ფირმების სტრატეგიაზე, სტრუქტურაზე და მეტოქეობაზე.
    - საერთაშორისო ექსპორტის ხელშრწყობა.
    - კონკრეტული მეწარმეებისა და ფირმების მიზნებზე ზემოქმედება.
    - ქვეყნის შიგნით მეტოქეობის რეგლამენტაცია.
    - ახალი ფირმების შექმნა.

- სავაჭრო პოლიტიკა (აქ შესაძლოა გამოყენებული იქნას პროტექციონიზმიც, ოღონდ ძალზედ ფრთხილად და გონივრულად).
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ მაიკლ პორტერის თეორია, საერთაშორისო ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობას განსაზღვრავს ეროვნული კონკურენტუნარიანობა, და ეროვნულ კონკურენტუნარიანობაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფო სავაჭრო ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. ამრიგად მაიკლ პორტერმა გარკვეულწილად უარყო ადამ სმითისა და დევიდ რიკარდოს თეორიები, უფრო თუ დავაზუსტებთ მან მოახდინა ამ თეორიათა მოდერნიზება, რაშიც სახელმწიფოს გარკვეული როლი დააკისრა.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურ თეორიებზე საუბარისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ ერთი პარადოქსი, რომელიც ლეონტიევის პარადოქსის სახელით არის ცნობილი. ჰექშერ-ოლინის თეორიას თანამედროვე ეკონომისტების დიდი ნაწილი იზიარებს, თუმცა პრაქტიკაში ეს თეორია ისე კარგად არ მუშაობს. ბევრი შემთხვევაა დადასტურებული, როდესაც ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნები ექსპორტირებენ კაპიტალტევად პროდუქციას და დიდი კაპიტალის მქონე ქვეყნები შრომატევადს. თეორიის და ლოგიკის მიხედვით კაპიტალჭარბმა ქვეყანამ უნდა აწარმოოს ისეთი საქონელი, რომლის დამზადებასაც ჭირდება კაპიტალი და ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებმა ისეთი საქონელი, რომელსაც ჭირდება ბევრი შრომა. ეს ყველაფერი დადასტურებულია სხვადასხვა კვლევების და ტესტების მიხედვით და ეს მოვლენა რჩებოდა აუხსნელი, თუმცა გამოჩნდა ამერიკაში ემიგრირებული რუსი ეკონომიკის თეორიტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ვასილ ლეონტიევი. მან განავითარა საგარეო ვაჭრობის თეორია, რომელსაც ეწოდა ლეონტიევის პარადოქსი და ეს თეორია ხსნიდა თუ რატომ არ მუშაობდა ყოველთვის ჰექშერ-ოლინის თეორია. ამერიკის შეერთებული შტატები გახლდათ კაპიტალჭარბი სახელმწიფო და შესაბამისად მას უნდა ეწარმოებინა კაპიტალტევადი საქონელი, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებდა შრომატევად საქონელს. ვასილ ლეონტიევმა დაასკვნა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკული ეკონომიკა დასპეციალდა იმ წარმოების სახეობებბზე, რომლებიც მოითხოვდნენ შედარებით მეტ შრომას, ვიდრე კაპიტალს. ლეონტიევმა ეს მოვლენა შემდეგნაირად ახსნა. ამერიკის შეერთებული შტატები დიდ ყურადღებას უთმობს განათლებას. სახელმწიფო დიდ ინვესტირებას ახდენს ადამიანებში, ისინი ამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, სხვადასხვა სფეროში, შედეგად ამერიკამ მიიღო ძალიან ბევრი სპეციალისტი, ამ სპეციალისტებმა კი, რა

თქმა უნდა, დაიწყეს შრომატევადი პროდუქციის წარმოება. ამან კი გამოიწვია ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო შრომატევადი საქონლის ექსპორტი.

ყველა დიდი მეცნიერი, არ აქვს მნიშვნელობა ეკონომიკისაა ფიზიკის თუ სხვა რამის, მუშაობს შემდეგი პრონციპით. ყოველთვის შეამოწმე შეესაბამება თუ არა თეორიული დასკვა რეალობას. ასე მუშაობდა ლეონტიევიც. მან გადაწყვიტა პრაქტიკულად შეემოწმებინა ჰექშერ-ოლინის თეორია, თუ რამდენად სწორი იყო ის და ასევე უნდა შეემოწმებინა შეხედულება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში კაპიტალი უფრო ჭარბად იყო წარმოდგენილი მის სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით. მან ჩაატარა კვლევები, აღრიცხა ამერიკაში ყველა კაპიტალი და მიიღო ასეთი შედეგი. ამერიკა 1947 წელს სხვა ქვეყნებზე შრომატევად საქონელს უფრო ყიდდა, ვიდრე კაპიტალტევადს. ამან დაამტკიცა, რომ ჰექშერ-ოლინის თეორია პრაქტიკაში არ მუშაობდა. ომის შემდგომ ამერიკაში პარადოქსის არსებობა იყო რეალური და ასევე მნიშვნელოვნად გაღრმავდა წარმოდგენა ფაქტორებით უზრუნველყოფისა და მათი ინტესიური გამოყენების შესახებ, აქედან ერთს ჰექშერ-ოლინის თეორია უარყოფდა, მეორეს კი მხარს უჭერდა.

თავი II

ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართება

2.1 ვაჭრობა როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძველი

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი მიზეზი რომ თავისუფალი ვაჭრობაა ეს ნათლად დაგვანახა ბევრმა ქვეყანამ.



წყარო: დიაგრამა შედგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით

დიაგრამაზე ნაჩვენებია, თუ როგორი სწრაფი ტემპებით დაიწყო მსოფლიო ეკონომიკის ზრდა, მას შემდეგ რაც მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები ჩაერთნენ

საერთაშორიაო ვაჭრობაში. საერთაშორისო ვაჭრობის პროცესი, წარმოების პროცესში საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს. ხდება სამეცნიერო, ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვადასხვა პოტენციალის დაგროვება, რომელსაც შემდეგ საწარმოები იყენებენ პროდუქციის წარმოებასა და მის რეალიზაციაში. საერთაშორისო ვაჭრობა გლობალიზაციის პროცესს საგრძნობლად აჩქარებს, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიაზაცია კი კაპიტალის, საქონლისა და სამუშაო ძალის მოძრაობას ქვეყნებს შორის ამარტივებს. ბოლო ათწლეულში სავაჭრო ბრუნვა ძალზე სრაფად გაიზარდა. გლობალიზაციის პროცესის პროგრესული მხარე გახლავთ ქვეყნების ეკონომიკურ განვითაერბაზე დადებითი გავლენა. თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. მოსაზრების განსამტკიცებლად გამოდგება ისრაელის მაგალითი.

მოგეხსენებათ დღეისათვის ისრაელი გახლავთ მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფო. იქ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი გახლავთ 43 000 ამერიკული დოლარი. ეს ნამდვილად ფანტასტიკური მაჩვენებელია, ისრაელი ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-19 ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ ძლიერ სახელმწიფოებს, როგორებიც არიან: საფრანგეთი (41 769 $), დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო (42 030 $), იაპონია, ახალი ზელანდია, პორტუგალია, ესპანეთი. ისრაელში შემოსავლები ყოველ წელიწადს მატულობს. მისი ეკონომიკა იზრდებოდა 2008-2009 წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი. ამ ყველაფერთან ერთად მატულობს ისრაელის მოსახლეობაც, ეს მაჩვენებელი გახლავთ წელიწადში 2 პროცენტი. მოსახლეობის მატების მიუხედავადაც ისრაელში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე წლიდან წლამდე მატულობს. ბოლო 30 წელიწადში ისრაელში მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდა და ცხრა მილიონს გადაცდა, და ამ პერიოდში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 3.5-ჯერ გაიზარდა, ყველაფერ ამასთან ერთად ისრაელი დაარსების დღიდან სულ საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

ისრაელის განვითარების ისტორიას მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყება. სწორედ ამ დროს შეიქმნა ისრაელის სახელმწიფოებრიობის ჩანასახი. მაშინ ეს ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა, ამ ადგილზე ცხოვრობდნენ არაბები. ებრაელებმა მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყეს პალესტინის ტერიტორიაზე ჩასახლება, მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სოფლის მურნეობა. 1922-1947 წლებში პალესტინის ტერიტორიაზე 1000 ზე მეტი ებრაელი მიგრანტი ჩავიდა, მათ ჩაიტანეს კაპიტალი და ხელს უწყობდნენ ადგილობრიბი ეკონომიკის განვითარებას. ებრაელებმა პალესტინაში კომპაქტურად დაიწყეს დასახლება, ამ დროისათვის მოსახლეობა უკვე 630 000 აღწევდა. პალესტინის

ებრაული ნაწილის ეკონომიკა წლიურად 13 პროცენტით იზრდებოდა. ებრაელების წლიურმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე 2.5 ჯერ გაუსწრო პალესტინის არაბული ნაწილის შემოსავალს.

მეორე მსოფლიო ომამდე ისრაელში, ძირითად საქმიანობას წარადგენდა სოფლის მეურნეობა, მაგრამ ომის პერიოდში დიდ ბრიტანეთს სხვადასხვა საქონლის მიწოდების საჭიროება შეექმნა, მაგ პერიოდში პალესტინის ტერიტორია დიდ ბრიტანეთში შედიოდა, ბრიტანეთმა საქონლის დეფიციტის აღმოსაფხვრელად პალესტინაში ინდუსტრიის განვითარება დაიწყო.

1947 წელს გაერომ გადაწყვიტა ისრაელი ორად გაეყო. მოგეხსენებათ მეორე მსოფლიო ომში მოხდა ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რამაც მსოფლიო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს ხალხი უნდა დაებრუნებინათ თავიანთ ისტორიულ მიწებზე. 1948 წელს ისრაელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ამბავს სიხარულით არ შეხვედრია მეზობელი არაბული სახელმწიფოები. სირია, იორდანია, ლიბანი, პალესტინა და ეგვიპტე. მათ არ სცნეს ისრაელის დამოუკიდებლობა და მის წინააღმდეგ დაიწყეს ომი. ისრაელს მრავალ ფრონტზე მოუწია ბრძოლა, მტერი ყველა მხრიდან ავიწროებდა, თუმცა მან ამ კონფლიქტში გამარჯვება მოიპოვა. 1950-იან წლებში განახლდა ისრაელში მიგრანტების მასობრივი დაბრუნება. მიგრანტების ნაწილს ჩამოქონდა კაპიტალი, ნაწილი ღარიბი, უსახლკარო ჩამოდიოდა და მთავრობას უწევდა მათთვის დროებითი საცხოვრებელი გამოეყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ემიგრანტებისთვის მუდმივი საცხოვრებლის და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა თანდათანობით მოგვარდა.

1950-1965 წლებში ისრაელში ეკონომიკა ძალიან სწრაფი ტემპით, საშუალოდ წელიწადში 11 პროცენტით იზრდებოდა. ასეთ მაღალი ზრდა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით:

- აშშ-ს დახმარებები და სესხები.
- გერმანიის მიერ გადახდილი კონპესაციები.
- ისრაელის სახელმწიფო ობლიგაციების საზღვარგარეთ გატანა.
- ებრაელი მიგრანტების მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმორიცხული ტრანსფერები.

კაპიტალის ასეთმა მაღალმა შემოდინებამ გახადა შესაძლებელი მასობრივი საინვესტიციო პროექტების განვითარება.

1967-1973 წლებში ისრაელში ეკონომიკური ზრდა შეჩერდა, ამის მიზეზი გახლდა ომი არაბულ სახელმწიფოებთან. იმიგრანტების დაბრუნება მცირე რაოდენობით გრძელდებოდა, ისეთი აღარ იყო, როგორც დამოუკიდებლობის

მოპოვების პირველ წლებში. მასიური დაბრუნება განახლდა 1990 წლებში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რადგან მანამდე საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ებრაელებს ქვეყნის დატოვების უფლება არ ჰქონდათ. ამ პერიოდში მილიონზე მეტი ემიგრანტი გადასახლდა ისრაელში. მათ იქ კვლავ ჩაიტანეს კაპიტალი და უდიდესი სამუშაო გამოცდილება, რადგან მოგეხსენებათ საბჭოთა კავშირში ყველა ვალდებული იყო ემუშავა და მათ ჰქონდათ სამუშაო გამოცდილება. ისინი მარტივად ჩაერთვენ ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში. ამ ყველაფერმა სამშენებლო სექტორის ბუმი მოიტანა. 2000-იანი წლების დასაწყისში ისრაელში მცხოვრები ყოველი მეხუთე ადამიანი საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული გახლდათ.1970-იანი წლებიდან ისრაელის ეკონომიკის მათავარი წამყვანი დარგი გახდა მომსახურება.

ახლა კი მთავარი საკითხი, თუ რატომ გახდა საერთაშორისო ვაჭრობა ისრაელის ეკონომიკის მთავარი საფუძველი. ყველა ფაქტორი, რაც ზემოთაა მოხსენიებული ნამდვილად იყო ისრაელის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა. თავიდან, 1940-იანი წლებიდან მთავრობა საკმაოდ მკაცრად ერეოდა ქვეყნიოს ეკონომიკაში, მოგვიანებით 1970-იანი წლებიდან თანდათანობით დაიწყო მთავრობის როლის შემცირება. 1975 წლიდან ისრაელმა გაამარტივა ვაჭრობა ევროკავშირთან. შემდეგ 1985 წელს გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მოგეხსენებათ დღეისათვის ეს ორი ბაზარი ჩინეთთან ერთად უდიდესია. ამ პერიოდში ისრაელი გადავიდა ვალუტის ფიქსირებული კურსიდან მცურავ კურსზე და დაიწყო კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების მოხსნა. მათ დაიწყეს ეკონომიკის ლიბერალიზაცია.

1993 წელს ისრაელმა ინვესტიციების მოსაზიდად დაიწყო პროგრამა „იუზმა“. იუზმა უცხოურ ინვესტორებს რისკების დაზღვევას და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50 პროცენტიან თანადაფინანსებას სთავაზობდა. სახელმწიფოს წილის გამოსყიდვა ინვესტორს ხუთ წელში იაფად შეეძლო. შეთავაზება ბევრისთვის აღმოჩნდა საინტერესო და მალე ფონდების ბიუჯეტი 58 მილიონი დოლარიდან 3.3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, სტარტაპ კომპანიების რაოდენობა კი 100 დან 800-მდე გაიზარდა.

შეერთებული შტატების მიზანი იყო ისრაელთან შეექმნა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები და მან გააფორმა ისრაელთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (ამერიკის შეერთებულ შტატებს მხოლოდ 20 ქვეყანასთან აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხეშეკრულება გაფორმებული). ამ ხელშეკრულებით ისრაელის ეკონომიკური დამოკიდებულება აშშ–სადმი შემცირდა. არაბულ ქვეყნებს ყველანაირი ეკონომიკური სავაჭრო ურთიერთობა

ჰქონდათ გაწყვეტილი ისრაელთან, ამიტომ მისი მიზანი იყო დიდი სავაჭრო ბაზრები და პარტნიორები მოეძია. ორმხრივი ურთიერთობის პირობებში შეერთებული შტატები გახდა ისრაელის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი, ხოლო ისრაელი შეერთებული შტატებისთის 24-ე სავაჭრო პარტნიორი.

2014 წელს ამერიკაში ისრაელიდან 23 მილიარდი ამერიკული დოლარის საქონელი იქნა იმპორტირებული, ძირითადად საიმპორტო საქონელია ფარმაცევტული პროდუქტები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ბრილიანტები. 2000-იანი წლებიდან ისრელმა პრიორიტეტად დაისახა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, გაზარდა მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, მნიშვნელოვნად ამაღლდა უნივერსიტეტებში განათლების დონე, განსაკუთრებით ტექნიკური მიმართულებით. დღეისათვის დასაქმებულთა მაღალკვალიფიციური შრომის წილით ისრაელი მსოფლიოს ტოპ 10 ქვეყანაში შედის, მაღალტექნოლოგიური სტარტაპეპის რაოდენობით კი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩება.

თავისუფალმა ვაჭრობამ, უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა და ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია არანაირი ბუნებრივი რესურსი და გაშენებულია უდაბნოში, აქცია მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს სახელმწიფოდ. დღეისათვის ისრაელში შეხვდებით ისეთი დიდი კომპანიების ოფისებს როგორიცაა მაიკროსოფტი, ინტელი, აიბიემი, გუგლი, ეფლი, ფეისბუქი და ასე შემდეგ.

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამაზე ნაჩვენებია ისრაელის ეკონომიკური ზრდის ტემპებს.



წყარო: მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის საიტებიდან

2.2 თავისუფალი ვაჭრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ნაშრომში უკვე ნათქვამია, რომ თავისუალი ვაჭრობა დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, მაკროეკონომიკური თეორიის თანახმად ეკონომიკურ ზრდაში იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილება კერძოდ ქვეყნის დოვლათის, ანუ მთლიანი შიდა პროდუტის მოცულობისა და საწარმო პოტენციალის გადიდება, ეკონომიკური ზრდის გამოსათვლელად ეკონომისტები მთლიანი შიდა პროდუტის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ითვლიან, ერთ წელიწადში შეიძლება მთლიანი შიდა პროდუქტი ქვეყანაში გაიზარდოს, მაგრამ არ მოხდეს ეკონომიკური ზრდა, რადგან ამ შემთხვევაში ქვეყნის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდება, მაგალითისთვის, რომ შევადაროთ საქართველოს და ირანის ეკონომიკა, 2020 წლის ივნისის მონაცემებით საქრთველოს მთლიანი შიდა პროდუქთი ნომინალური ფასების მიხედვით 17,83 მილიარდი დოლარია, მოსახლეობა კი 3,7 მილიონი. ირანის მთლიანი შიდა პროდუქტი 458,500 მილიარდის ტოლია და

მოსახლეობა 83 მილიონი. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 4.3 ათასი ამერიკული დოლარია ირანის კი 5, 5 ათასი. როგორც ხედავთ საერთო მოცულობებს შორის განსხვავება ძალიან დიდია, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი თითქმის იგივე. ეს გამოწვეულია იმ ფაქტორით რომ ირანის მოსახლეობა 30 ჯერ მეტია ვიდრე საქართველოსი.

ეკონომიკური ზრდა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. მას ერთის მხრივ უზრუნველყობს წარმოების ფაქტორების რაოდენობის გადიდება. წარმოების ფაქტორების რაოდენობის ზრდის საუკეთესო გზაა უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად კი აუცილებელია ქვეყანა იყოს ჩართული საერთასორისო თავისუფალ ვაჭრობაში. მან უნდა მოხსნას ყველა ბარიერი, რომელიც ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება უცხოური ინვესტიციის, საქონლისა და კაპიტალისთვის. მოსაზრების გასამყარებლად განვიხილოთ თუ რა გავლენა იქონია თავისუფალმა ვაჭრობამ ევროპის ეკონომიკურ ზრდაზე.

დღეისათვის ევროკავშირის ეკონომიკა მსოფლიოში სიდიდით მეორეა და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებს ჩამორჩება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით ევროკავშირის მთლიანმა შიდა პროდუქტმა (ნომინალური ფასები) შეადგინა 18,7 ტრილიონი ამერიკული დოლარი.

ევროკავშირის ეკონომიკის წარმატების გასაღებია მათი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც „ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ სახელითაა ცნობილი (DCFTA). თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელი მიმოცვლაა. აქ იგულისხმება იმპორტზე გადასახადის გაუქმება, კვოტების გაუქმება და ა.შ. თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები ძირითადად ლიბერალური პარტიები არიან, ხოლო მას მემარცხენე მიმდინარეობები ეწინააღმდეგებიან.

ევროპის შიდა ბაზარი, ასევე ცნობილი როგორც „ერთიანი ბაზარი“, ხალხსა და ბიზნესს აძლევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილებისა და ვაჭრობის საშუალებას. პრაქტიკულად, ის სთავაზობს მომხმარებელს პროდუქციის ფართო არჩევანს და აძლევს მათი ყიდვის საშუალებას კონკურენტუნარიან ფასად, ამასთანავე, ხელს უწყობს მომხმარებელს იყოს დაცული საკუთარ ქვეყანაში, საზღვარგარეთ და/ან ინტერნეტით ვაჭრობისას. ასევე დიდი და პატარა კომპანიებისთვის ამარტივებს კონკურენციას და ამავდროულად ამარტივებს და აიაფებს ბიზნესის კეთებას მთელ მსოფლიოსთან. ის ასევე აძლევს კერძო პირებს საცხოვრებელი თანხის გამომუშავების, სწავლის ან ევროკავშირის სხვა ქვეყანაში პენსიაზე გასვლის უფლებას.

ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება ცნობილია როგორც „ ოთხი თავისუფლება“. თავისუფალი მიმოცვლის ეს ოთხი კომპონენტია

- საქონელი
- მომსახურეობა
- კაპიტალი
- ადამიანები

ამ ოთხი კომპონენტის თავისუფალი მოძრაობა ევროკავშირის ხელშეკრულებით არის განმტკიცებული. ეს ხელშეკრულება ევროკავშირის ინსტიტუტებს უფლებამოსილებას აძლევს მიიღონ კანონები, აქ იგულისხმება რეგულაციები, დირექტივები და სხვა. ეს კანონები უფრო მაღლა დგას ვიდრე შიდა ეროვნული კანონმდებლობა და სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისათვის.

უფრო დაწვრილებით თუ რას მოიცავს ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მდგომარეობს შემდეგში:

- საქონლით ვაჭრობა
- ვაჭრობაში დაცვითი ზომები
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები
- საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა
- საჯარო შესყიდვები
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
- კონკურენცია
- ვაჭრობასტან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში
- გამჭირვალობა
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება
- დავების მოგვარება
- დაახლოების ზოგადი დებულებები

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის კონტინენტი მიწასთან გასწორებული და განადგურებული იყო, თუმცა ამ მძიმე ვითარებაში მათ მოახერხეს გაერთიანება საერთო სავაჭრო ბაზრის შექმნა და დღეისათვის უმდიდრეს სახელმწიფოთა კავშირს წარმოადგენს. მათ დასახული მიზნების

განხორციელების გზაზე შეძლეს გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისათვის. იდეების ხელშეუხებლობა და მათი ურღვეობა ევროკავშირის ქვეყნების ძირითად მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე ევროკავშირმა განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა, ეს ეტაპები უფროდაუფრო ამარტივებდა და აფართოვებდა ერთმანეთს შორის ვაჭრობას.

- რომის ხელშეკრულება
- შენგენის შეთანხმება
- ერთიანი ევროპული აქტი
- მაასტრიხტის ხელშეკრულება
- ამსტერდამის ხელშეკრულება
- ლისაბონის შეთანხმება

1957 წელს გაფორმდა რომის ხელშეკრულება ამ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო საერთო ბაზრის შექმნა წევრ ქვეყნებს შორის, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა (იმ დროს ევროკავშირი ევროპის ქვანხშირისა და ფოლადის გაერთიანების სახელით იყო ცნობილი და ამ გაერთიანებაში შედიოდა ევროპის 6 ქვეყანა).

ვაჭრობის გამარტივების მეორე ეტაპი გახლდათ 1985 წელს ხელმოწერილი შენგენის შეთანხმება, რისი მიხედვითაც წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება.

1986 წელს ერთიანი ევრპული აქტის გაფორმების შემდეგ, დაიწყო საერთო ბაზრის ჩამოყალიბების საბოოლო ფაზაში შეყვანის პროცესი, დაიწყო ერთიანი შიდა ბაზრის შესაქმნელად რეფორმების გატარება, ეს გულისხმობდა კვოტების, ტარიფების და სხვა ეკონომიკური დაბრკოლებებისგან გათავისუფლებულ ეკონომიკურ სივრცეს, სადაც თავისუფლად უნდა მომხდარიყო „ ოთხი თავისუფლების“ ანუ საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილება.

1992 წლის 7 თებერვალს ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტსი ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილი გახდა შემდეგ როგორც მაასტრიხტის ხელშერულება. ამ ხელშეკრულებაში განვცითარების 3 სვეტზე გამახვილდა ყურადღება, პირველ სვეტში რომელიც საერთაშორისო ვაჭრობას ეხება განისაზღვრა შემდეგი საკითხები: საბაჟო კავშირი, ერთიანი ბაზარი, საერთო სოფლის პოლიტიკა და სავჭრო პოლიტიკა.

ქვეყანა	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)
ლუქსენბურგი	125 364
შვეიცარია	90 160
ნორვეგია	84 935
ირლანდია	84 827
ისლანდია	83 000
დანია	66 196
შვედეთი	60 437

ავტრია	56 259
ფინეთი	54 849
გერმანია	53 000
ბელგია	51 000
ჰოლანდია	50 903
საფრანგეთი	46 793
დიდი ბრიტანეთი	45 217
იტალია	37 332

ესპანეთი	34 282
მალტა	32 992
კვიპროსი	30 525
სლოვენია	29 303
ჩეხეთი	26 114
პორტუგალია	25 440
ესტონეთი	25 260
საბერძნეთი	22 077

სლოვაკეთი	22 032
ლიეტუვა	21 243
ლატვია	19 924
უნგერთი	17 718
ხორვატია	15 533

წყარო: ცხრილში მოცემული მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის საიტიდან

ცხრილში წარმოდგენილია ევროკავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, როგორც ხედავთ თავისუფალმა ვაჭრობამ ამ ქვეყნებს დიდი ეკონომიკური წარმატება მოუტანა. შვეიცარია, ისლანდია და ნორვეგია არ არიან ევრო კავშირის წევრები, თუმცა ევროკავშირს მათთან აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული. ცხრილში ვერ მოხდა ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად პოლონეთი, რუმინეთი და ბულგარეთი. მათი შემოსავლები ისეთი დიდი არ არის, როგორიც სხვა ქვეყნების, თუმცა საერთაშორისო ვაჭრობა ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან მათ ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს და ისინი მალე გაუტოლდებიან დანარჩენ სახელმწიფოებს.

თავი 3

საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა

3.1 საქართველოს ვაჭრობის პოლიტიკის თავისებურებები

დღეისათვის საქართველოს ლიბერალური სავაჭრო გეზი აქვს აღებული. საქართველოს მთავრობამ განახორციელა ლიბერალური სატარიფო პოლიტიკა, შეცვალა ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რამაც გაამარტივა საგარეო ვაჭრობა და საბაჟო პროცედურები, დაიწია საიმპორტო ტარიფებმა. ყველაფერ ამის საფუძველზე კი შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს აქვს მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა.

2006 წლის 1 სექტემბრიდან 16 საიმპორტო სატარიფო განაკვეთი შემცირდა სამ განავეთამდე, საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85 პროცენტზე, ასევე მთლიანად გაუქმდა სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი და რეექსპორტი სრულიად განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

საქართველოს კანონმდებლობით საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება ჯამრთელობას, უსაფრთხოებას და გარემოს დაცვას. ამ შემთხვევებში საჭიროა ლიცენზიები, რომელსაც გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სამინისტროს გვერდზე განთავებულია აღნიშნული ლიცენზიები:

- ფიტოსანიტარულ და ვეტერინალურ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა
- დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ექსპორტ–იმპორტის ლიცენზია
- შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
- ბირთვული, რადიაციული ობიქტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული მასალების, რადიაქტიული ნარჩენების, ექპორტის იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
- იარაღისა დასაბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა

- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა
- არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვა
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით, საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა

საქართველო არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, აქედან გამომდინარე საქართველო ვალდებულია გაითვალისწინოს მისი რჩევები და შეასრულოს ვაჭრობის ორგანიზაციის დავალებები.

საქართველოს საკამაოდ ბევრ ქვეყანასთან აქვს მიღწეული თავისუფალი ვჭრობის შეთანხმება, კერძოდ : ჩვენ ყველანაირი დაბრკოლების გარეშე ვვჭრობთ დსთ-ს ქვეყნებთან (გარდა რუსეთისა) თურქეთთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაციასთან (ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტეინი და შვეიცარია) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გვაქვს მსოფლიოს 3 უდიდესი ბაზრიდან ორთან, ევროკავშთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. (მესამე უდიდესი ბაზარი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი, რომელთანაც დიდი იმედი მაქვს, რო ახლო მომავალში გაფორმდება თავისუფდალი ვაჭრობის ხელშეკრულება)

საქრთველო ასევე არის პრეფერენციათა სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი, მისი ძირითადი აზრია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც შემდეგში აადვილებს განვითარებადი ქვეყნებიდან საქონლის შეღწევას განვითარებულ ქვეყნებში. საქრთველო არის ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის და კანადის ბენეფიციარი.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმება. 2018 წლის 20 მარტს ბელგიაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ქვეკომიტეტის შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრაზე ხელი მოეწერა ქვეკომიტეტის გადაწყვეტილებას. რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების „საქონლის წარმოშობის“ ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების წესების შესახებ, ოქმი I-

ის ჩანაცვლება პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების რეგიონალური კონვენციის შესაბამისი დანართით.

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან შეთანხმებას ხელი მოაწერა 2016 წლის 27 ივნისს. აღნიშნული შეთანხმება ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან მიმართებაში ეტაპობრივად შევიდა ძალაში. ნორვეგიასთან და ისლანდიასთან ამოქმედდა 2017 წლის სექტემბრიდან ხოლო შვეიცარიასთან და ლიხტენშტეინთან 2018 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს ასევე შეთანხმებები აქვს გაფორმებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან:

- (GATT) გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ - ამ შეთანხმების ძირითადი მიზანია ვაჭრობის ლიბერალიზაცია და სავაჭრო ბარიერების შემცირება
- (GATS) გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ - ეს შეთანხმება წარმოადგენს მრავალ მხრივ დონეზე შეთანხმებულ იმ სავაჭრო წესებისა და ნორმების კრებულს, რომელიც არეგულირებს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობას
- (TRIPS) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება, რომელიც სახელმწიფოთა წინაშე აყენებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების უფლებებეის დარღვევის საკითხებს ეხება
- (TBT) ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც ორგანიზაციის წევრმა თითოეულმა ქვეყანამ უნდა შემოიღოს რეგულაციები იმგვარად, რომ ამ რეგულაციებმა არ შექმნან ზედმეტი დაბრკოლებები საერთაშორისო ვაჭრობაში.
- (SPS) სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ შეთანხმება, რომლითაც არ არის განსაზღვრული საზღვარზე რაიმე აკრძალვითი ან ლიცენზირებადი ღონისძიებები გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების დაცვას

საერთაშრისო ვაჭრობის განვითარებისთვის საქართველოს აქვს შემდეგი ხედვები.

- ✓ საქრთველოს მიზანია პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება

- ✓ პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება, ორმხრივი რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარება, ვაჭრობის ბარიერების წარმოებული პროდუქტისა და მომსახურეობის საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობასი მოყვანა
- ✓ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რისთვისაც სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ექსპორტს, სუბსიდიებითა და სხვა წამახალისებელი ფაქტორებით.
- ✓ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების განხორციელების კორდინაცია სახელმწიფო ინსტიტუტთათა შორის და შესაბამის ევროპულ სტრუქტურებთან თნამშრომლობა.

საქართველოს არჩეული აქვს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა, აღებული კურსი ნელნენა იხვეწება და წლიდან წლამდე უფრო და უფრო აქტიურად ვერთვებით საერთაშორისო ვაჭრობაში, ვხდებით მსოფლიო სავაჭრო ბაზრის ნაწილი, ეს მიმართულება 90–იან წლებში დაიწყო ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს, ვარდების რევოლიციის შემდეგ საქართველო უფრო გააქტიურდა ამ მიმართულებით, უფრო დავუახლოვდით ევროკავშირს და გატარდა მრავალი რეფორმა ვაჭრობის გამარტივების მიზნით, გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, ამაზე უფრო დაწვრილებით მოგვიანებით ვისაუბრებ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად კვლავ შეიცვალა მთავრობა, ახალმა ძალამ განაგრძო წინა ხელისუფლების აღებული კურსი.

3.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის დინამიკა

საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. ჩვენს განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლიდა ხელს: ომები, პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფცია, მენტალობა და სხვა მრავალი. როგორც უკვე ნახსენებია საქართველო

ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ნელი ტემპებით ვითარდება. ნაშრომის ბოლო ნაწილსში წარმოედგენილია ქრონოლოგიურად თუ როგორი ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკა. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი 5550 დოლარი იყო (მსიყდველობითი პარიტეტის მიხედვით). ხოლო 1994 წლის მონაცემებით ის 61 პროცენტით, 2460 დოლარამდე შემცირდა. ამ 3 წლიან მონაკვეთში ეკონომიკის ასეთი კატასტროფული ვარდნა განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით: სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ენერგეტიკული კრიზისი, კორუფცია, კრიმინალი, საბაზრო ეკონომიკის არცოდნა, ჰიპერინფლაცია და სხვა.



წყარო: საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური

დიაგრამაზე მოცემულია საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1991 და 1994 წლებში

1995 წლიდა ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოსწორება დაიწყო. მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 2.6 პროცენტით. ქვეყანაში შედარებით დასტაბილურდა პოლიტიკური ვითარება, დასრულდა ომები, 1995 წლის სექტემბერში კი განხორციელდა მონეტარული რეფორმა, როდესაც კუპონი ჩანაცვლდა ლარით. ამ ფაქტორებმა 1996-1997 წლებში ეკონომიკის 10.6 პროცენტიანი ზრდა გამოიწვია. ამავე წლებში საქართველოს ექსპორტი 57 პროცენტით გაიზარდა, შემცირდა ჰიპერინფლაციის ტემპი.

1996 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით საქართველოში 4 მილიონი დოლარი შემოვიდა, ხოლო მომდევნო წელს ინვესტიციებმა საგრძნობლად იმატა, მან 243 მილიონი დოლარი შეადგინა. მომდევნო ორ წელიწადში სიტუაციის გამოსწორება შენელდა, რადგან 1998-2000 წლებში მიმდინარეობდა აზიის ფინანსური კრიზისი, რომელმაც რუსეთიც დააზარალა. მოგეხსენებათ ამ პერიოდში საქართველო რუსეთზე დამოკიდებული ქვეყანა გახლდათ, რამაც ჩვენზეც იქონია გავლენა, წლიური ინფლაციის ტემპი 11 პროცენტამდე ამაღლდა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპი 2,5 პროცრნტამდე დაეცა.

მომდენო წლებში სიტუაციამ კვლავ გამოსწორება დაიწყო. გაიზარდა ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, საქართველოზე გაიარა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენმა, შესაბამისად 2003 წელს ეკონომიკა 11.2 პროცენტით გაიზარდა. 2003 წელს პირველად ბიუჯეტის შემოსავალი ერთ მილიარდ ლარს გადასცდა, თუმცა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია კვლავ მძიმე გახლდათ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2002 წელს საქართველო ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდით პირველ ადგილს იკავებდა, ამან გამოიწვია ვარდების რევოლუცია, რომლის მთავარი ლოზუნგი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წლიდან, ეკონომიკურმა სიტუაციამ მკვეთრად გამოსწორება დაიწყო. ამ დროს ქვეყანაში გატარდა მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა. შემცირდა კრიმინალი, კორუფცია, გამარტივდა ბიზნეს საქმიანობა, შემცირდა გადასახადების სახეები და განაკვეთები. ეს ყველაფერი კი საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგში აისახა. რა თქმა უნდა, ინვესტორებმა ეს შეამჩნიეს და საქართველოში დაიწყო დიდი რაოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. 2004-2007 წლებში ბიუჯეტის შემოსავლები 4-ჯერ გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს მიაღწია. 2007 წელს დაფიქსირდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმაღლესი მაჩვენებელი, რომელიც დღემდე რეკორდად რჩება, მან გადააჭარბა 2 მილიარდ დოლარს და ამ წელს ეკონომიკურმა ზრდამ 12.6 პროცენტი შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2004-2007 წლიბში(მილიონ დოლარებში)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2008 წლის პირველ ნახევარში ინვესტიციის შემოდინებისა და ეკონომიკის ზრდის ტემპები წინა წლის მაჩვენებელს უდრიდა. თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომმა ყველაფერი აურია. ამ ომმა დააფრთხო ინვესტორები, შეჩერდა ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, დაეცა ეკონომკური ზრდის ტემპები, ამ ყველაფერს დაემატა 2008-2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

2009 წელს საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს 4 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება და შეღავათიანი კრედიტები გამოუყო, თუმცა ამ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა 58 პროცენტით, ექსპორტი 24 პროცენტით, ქვეყნის ეკონომიკა კი 3,7 პროცენტით.. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა კონტინენტების მიხედვით 2009 წელს შემდეგი იყო: ევროპა - 45%, აზია - 46%, ამერიკა - 95, აფრიკა და ოკეანეთი - 1%. მართალია, ბოლო წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა იზრდებოდა, თუმცა 2009 წელს ამ მაჩვენებელმა დაიწია. 2008 წელს ბრუნვა 7.800 მლნ. ამერიკული დოლარი იყო,

ხოლო 2009 წელს კი 5.500 მლნ. დოლარი შეადგინა. ეს კლება იმპროტის შემცირებამ განაპირობა, 2008 წელთან შედარებით 2009 წელს 1.9 მილიარდი დოლარით ნაკლები იმპორტირებული პროდუქცია შემოვიდა, ექსპორტის მოცულობა მხოლოდ 364 მილიონი დოლარით შემცირდა. თავის მხრივ, უარყოფითი სავაჭრო სალდოც შემცირდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2010-2012 წლებში მდგომარეობამ ისევ გამოსწორება დაიწყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საშუალოდ 950 მილიონის დონეზე იყო, ეკონომიკა კი 6.6 პროცენტით იზრდებოდა. ამ ზრდაში ძირითად როლს თამაშობდა კვლავ უცხოური დახმარებები და კრედიტები. მაღალი ტემპებით დაიწყო საფინანსო სექტორის ზრდა, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზიც ტურისტული ნაკადის გაზრდა გახლდათ.

2012 წლის მიწურულს საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება. ახალმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა დაიწყო. შეაჩერა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი, გაურკვეველად რჩებოდა თუ როგორ გზას აირჩევდა ახალი ხელისუფლება ეკონომიკური განვითარებისათვის. 2013 წელს ზრდის ტემპი 3.4 პროცენტამდე შემცირდა.

მომდევნო წლიდან, როდესაც ხელისუფლება გარკვეულ გზას დაადგა სიტუციამ ოდნავ გამოსწორება დაიწყო. გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელმაც 2014 წელს 1.8 მილიარდს მიაღწია. 2014 წელს 2013

წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელი 2 908 499 დან 2 860 670 ათას აშშ დოლარამდე შემცირდა, თუმცა ექსპორტი ევრიკავშირის წევრ ქვეყნებში გაიზარდა 607 891-დან 624 085 ათას აშშ დოლარამდე. რაც შეეხება იმპორტს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 2014 წელს ყველაზე მეტი ღირებულების პროდუქცია შემოვიდა გერმანიიდან (19,7%), რომელსაც მოსდევენ რუმინეთი (13,1 %), იტალია (9,4), ბულგარეთი (8,9), ნიდერლანდები (6,3), საფრანგეთი (5,5%), საბერძნეთი (5%0, გაერთიანებულ სამეფო (4%), პოლონეთი (4%) და ესპანეთი (3,8).

ევროკავშირიდან ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები 2014 წელს



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015 წლიდან ქვეყანაში საგრძნობია ტურისტთა ნაკადის მატება. 2015-2019 წლებში ყველაზე სწრაფად საქართველოში ტურისტული სექტორი განვითარდა, შემოსავალი ყოველწლიურად იმატებდა. 2019 წელს ჩვენ მივიღეთ 9.3 მილიონი უცხოელი ვიზიტორი და 3.3 მილიარდი შემოსავალი. რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2017 წელს, რამაც 1. 960 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2018-2019 წლებში კი 1.2 მილიარდამდე დაეცა. ამ წლებში ეკონომკური ზრდის ტემპები საგრძნობლად არ გაზრდილა და საშუალოდ 4 პროცენტს შეადგენდა. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იმატებდა ექპორტ-იმპორტის რაოდენობა საქართველოში

ექსპორტ-იმპორტი და მათი სალდო 2015-2018 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება 2020 წელს, მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. პირველი კვარტალის მონაცემებით შემოსულია 165 მილიონის ინვესტიცია, ტურიზმიდან შემოსავალი კი 400 მილიონამდეა. ეს ყველაფერი გამოწვეული მსოფლიო პანდემიით, ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ მსოფლიო კრიზისი შესაძლოა ისეთივე მძლავრი აღმოჩნდეს როგორიც იყო 1930 წლის დიდი დეპრესია, ჩვენი მომავალი კი ბუნდოვანია.

მშპ–სა და ეკონომიკური ზრდის დინამიკა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთლიანი ექპორტისა და ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის დინამიკა წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასკვნა

ბოლოს, დასკვნის სახით, კიდევ უნდა ვისაუბროთ საერთაშორისო ვაჭრობის გავლენაზე ეკონომიკის განვითარებაში და ხაზი გავუსვათ მის უპორატესობას. როგორც გამოჩნდა თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის ლიბერალიზაცია, საზღვრების გახსნა და თავისუფალი ვაჭრობა უპირატესია. კვლევის წარმოებისას გამოიკვეთა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებსა და ეკონიმიკის ზრდაზე. ნათლად წარმოჩინდა, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მატერიალური საფუძველი, შრომის საერთაშორისო დანაწილება გახლავთ, ეს კი საერთო ეკონომიკური კანონების ბევრად უფრო სრულყოფილად გავითარების წინაპირობებაა.

პროდუქციის ექსპორტი ხელს უწყობს სამამულო წარმოების მოცულობის ზრდას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფოთა ეკონომიკები ურთიერთდამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ისინი სპეციალიზდებიან იმ დარგებზე, რომლებშიც აქვთ შედარებითი ან აბსოლიტური უპირატესობა, აწარმოებენ ისეთ საქონელს რომელიც უფრო იაფი უჯდებათ სხვა ქვეყნებთან შედარებით. შედეგად ნაკლებია მსოფლიო ანტერნატიული დანახარჯი და ვიღებთ მსოფლიო დოვლათის მატებას. საერთაშორისო ვაჭრობას აქვს თავისი ხარვეზებიც, ის არარის იდეალური. ვაჭრობის პროტექციონისტული თეორიის მხარდამჭერი ეკონომისტები, საუბრობენ მის ნაკლოვანობებზე. ის, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელის შემშლელია ადგილობრივი წარმოებისთვის, უცხოური კონკურენციის პირობებში იჩაგრება ადგილობრივი და ა.შ. საქართველოშიც ბევრი აკრიტიკებს საერთაშორისო ვაჭრობას და მოითხოვენ ვაჭრობის პროტექციონისტულ მოდელზე გადასვლას, თუმცა საბედნიეროდ ეს ასე არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ საერთშორისო ვაჭრობას აქვს გარკვეული ხარვეზები, ის არის ყველაზე კარგი ვარიანტი არსებულ ვარიანტებს შორის.

ადრეული ეკონომიკის თეორიტიკოსები, ადამ სმითი, დევიდ რიკარდო და სხვანი საუბრობდნენ, რომ ბაზარმა უნდა იფუნქციონიროს სრულუად დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. თუმცა მოგვიანებით პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს მეთოდი პრაქტიკაში ისე კარგად ვერ მუშაობს. პრაქტიკაში გამოჩნდა, რომ ეკონომიკამ უნდა იფუნქციონიროს დამოუკიდებლად, მაგრამ სჭირდება „პატარა ხელის წაშველება“ სახელმწიფოსაგან.

ასე განვითარდა ევროაპა, ასე განვითარდნენ აზიის ლომები, ასე განვითარდა ისრაელი, ჩვენს სახელმწიფოს სამწუხაროდ არაფერი ეტყობა სამაგისო, რომ მივალთ მათ დონემდე, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულნი ვართ. აქ სხვა ფაქტორებია დამნაშავე რომელიც ამ თემას ცდება და იმედი ვიქონიოთ, რომ მალე სიტუაცია გამოსწორების გზას დაადგება. მიუხედავად იმ გამოწვევებისა და სირთულეებისა რასაც ქვეყანა განიცდის თავისი გარდამავალი ეკონომიკის ფონზე, მაინც თვალსაჩინოა ის განვითარება, რომელიც ჰპოვა დამოუკიდებლობის მპოვებიდან დღემდე, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური განვითარების კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერ ასპექტი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუსტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი1, თბ. 2012 გვ.3

2. დავით ქათამაძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ 2008, გვ21;

3. ავათნდილ ოქოცვარიძე, დალი ოქროცვარიძე, მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2009, გვ5;

4. გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ2001, გვ148;

5. გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2015 წ. გვ.82;

6. გოგიტა თოდრაძე, ლია ძებისაური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, თბ.2019, გვ8;

7. ემირ ეთერია, მამუკა თორია, საერთაშორისო ეკონომიკა, ლექციების კურსი, ნაწილი 1, თბ. 2006, გვ. 21-22;

8. ემირ ეთერია, გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა (მონოგრაფია), უნივერსალი, 2009

9. თამარ მიქაბერიძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, თბ. 2016, გვ. 13;

10. თამარ მიქაბერიძე საერთაშორისო წარმოების ტექნოლოგიების როლი მცირე ღია ეკონომიკისთვის, ეკონომიკა და ბიზნესი (2016) #3; ISSN 1987-5789;

11. თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში, თბ2012, გვ 3

12. თეიმურაზ შენგელია საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა თბ.2011, გვ110-111

13. ლია ძებისაური, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, თბ.2012, გვ.16;

14. ლელა ბახტაძე, გარდამავალი ხანის ეკონომიკა, თბ. 2006 წ.გვ 3;

15. როზეტა ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, თბ.2012, გვ. 274

16. საქართველო და ევროკავშირი: ევროკავშირის განვითარების ეტაპები http://old.infocenter.gov.ge/euinfo-structure/?fbclid=IwAR0A8KR-eHeck2sUYFEnpEXOyyE4PJOiZJ1SJr8CKu1geRuSNuAY8qzi6pg#1

17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge/?fbclid=IwAR2efGsKxjxb2dio0-aXrjLDDoApDtNaNBGrQDQmzqq6eziOo1de5FTFqqs

18. საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფონზე https://osgf.ge/publication/saqartvelos-eqsportis-dinamikis-calkeuli-aspeqtebi-sagareo-vachrobis-liberalizaciis-fonze/?fbclid=IwAR2SUg5Fl7mDKX64NvaVxO_gZ78W97wdOHjDlG8k2v6X162pXczn5FvvMNw

19. საქართველოს პროგრესული ფორუმი http://progressive.ge/article.php?ID=97&lng=ge

20. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: მშპ-ს სტატისტიკა https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp?fbclid=IwAR2GXFbf7CD7mIT-vJMdOScRq7SsiXIHX_lwPl50nyeycZe1MT3vqtzWBfk

21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi?fbclid=IwAR1jKVz8T90H2LrW-YL0ODOccKJouOZHERYBTnUhjO25FZBV61h2IB5Gl_Y

22. ქვეყნის ეკონომიკის მემორანდუმი http://documents1.worldbank.org/curated/en/306471468251761064/pdf/896080GEORGIAN0411B0CEM0GEO0for0WEB.pdf?fbclid=IwAR010Rhre3DQNKbtpSMnroZ9qHwYV4yzGjQILTeeKHqJ9BUNyLk0smSdNfQ

23.Brookings: A growth strategy for the Israeli economy https://www.brookings.edu/research/a-growth-strategy-for-the-israeli-economy/?fbclid=IwAR1BaZ-F_ACAq5bFqoeF3Zt9J97--7jKV2ucHcfLUg-8OeZgw8heUlipjO4

24. . Douglas, P.S. (1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. VII. pp51;

25. Fontagne L., Freudenberg M. (1997). Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. Working Paper No. 97-02;

26. Levitt, T. The Globalization of Markets. Harvard Business Review, May-June, pp.92-102;

27. Tinbergen, J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm;
20. Lachrriere, G. (1969). La Nouvelle Division Internationale du Travail. Geneva;

28. Balassa, B. 1(970), Growth Strategies in Semi-Industial Countries. —The Quarterly Journal of Economics||. February;

29. Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P. 7
23. 9. Robok S.H., Simmonds K. International Business. How Big is it?||, 1973, #4 P.91;
24. Nurksc, R. (1955), Problems of Capital Formation in Underdeveloped Countries. Oxford. pp. 5.11;

30. ЮНКТАД. Доклад о мировых инвестициях за 2014. С. 10;

31. OECD. Development Cooperation. (1973), Review. Paris. November P. 13;

32. Trade Policy Review. Report By Georgia. WTO. WT/TPR/G/224, 3 November 2009.

(09-5397). p.11; http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm;

33. Trade Policy Review. Report By Georgia.

WTO.WT/TPR/G/224,3November2009.(095397).p.10;http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm;
34. Foreign direct investment, net inflows (BoP, current US$) http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD/countries/1W?display=default

35. Free Trade Area Agreements (FTAs) https://mof.gov.il/en/InternationalAffairs/TradeAgreements/Pages/FreeTradeArea.aspx?fbclid=IwAR1G_VMk8BU7ZTYrPfinSjVWStWKnhWENRDGpkgS8g1_kxly0T-aJSkYSh0